

619
1957/2

14

გზ



ქართული
ბიბლიოთეკა

საქართველო

დროშა

№ 8 აგვისტო 1957



მკ

მშვიდობა, მეგობრობა, ერთობა

28 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ნაღარებმა ამცნეს კაცობრიობას ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალის გახსნა.

საფესტივალო ღამაზ სამოსელში გამოეწყო მოსკოვი. მის ქუჩებზე, პროსპექტებზე, მოედნებზე ჩანდა დღესასწაულის მრავალფეროვანი მორთულობა. მზიარული, აღფრთოვანებული სახეები, ბრავალენაზე მოლაპარაკე ახალგაზრდები. 140 ქვეყნის მიერ წარმოდგენილი 30 ათასზე მეტი დელეგატი წარმოადგენდა მსოფლიოს ახალი თაობის განსახიერებას.

ვრცელი და მრავალფეროვანი იყო მოსკოვის ფესტივალის პროგრამა. იგი შედგენილი იყო იმდგვარად, რომ უფრო ღრმად გახსნილიყო ფესტივალის იდეა, რომელიც გამოიხატებოდა დევიზში: „მშვიდობისათვის და მეგობრობისათვის!“

ფართოდ იყო წარმოდგენილი ფესტივალზე საქართველოს ახალგაზრდობა.



საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დელეგაციის წევრები პარადის მონაწილეთა შორის.


ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაცია ესალმება მაყურებლებს ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე.




ინდოელი გოგონების გამოსვლა.

საქართველოს დელეგაციის წევრები ასრულებენ საციკვაო სიუიტას.





ფესტივალის მონაწილეთა ჯგუფი.



2554

ფოტო **ფ. კრიმსკიი** და საქედესის ფოტოპროიექის

კრემლში — თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი ვანო ცაგარეიშვილი ესაუბრება იტალიის დელეგაციის წევრებს, მილანის უნივერსიტეტის სტუდენტს მარიზა ლანჩელოტის და მოდენის პროფინციის მუშას უგო გალანტინის.

ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე მოკავშირე რესპუბლიკების კოლექტივების ნაკრები ანსამბლის გამოსვლა — ასრულებენ საცეკვაო სიუიტის „იხარე, ჩვენო ახალგაზრდობა“.



საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო-საზოგადოებრივი ცენტრის გაზეთი

შუბნის ნაოსნობა

ქრონიკალი
გიორგი ბერიძე

თ. შაიხიძე

ზამთარია. ჩრდილოეთის მძაფრი სიცივე. პირქუში მღვმარება. ლაღოვის ტბა და მისი პირში — ნევა ფოლადივით მაგარ ყინულს შეუჯავშნია.

ნევის სათავესთან პაწია კუნძულია, კუნძულზე — დიდი საპატიმრო. ეს შლისელბურგის ციხეა. იგი ხუთასობით მტრის მანძილზე მდებარეობს იმავე სახელწოდების ქალაქიდან. ციხეს ირგვლივ მაღალი ქვიტიკრის კედელი აკრავს. კედელზე ჭრელიწოდებებიანი საგუმავო ჯიხურებია და ფარული სიგნალიზაცია. სულ მცირე საექსპოზიციონერო — მყისვე ხელის დაჭერა ღელზე და მთელი საპატიმროს დარაჯები ფეხზე დადგებიან უიარაღო, მაგრამ ურჩი პატიმრების წინააღმდეგ.

ციხეში ცხრას სამოცი კაცია, მაგრამ სრული სიჩუმე სუფევს, საფლავისებური დუმილი. მხოლოდ ხანდახან გაისმის პატიმართა ფეხებზე დადებულ ბორკილების ჩხარული და გასაღებების წყარული მედილეტა ხელი.

სამი-ოთხი წლის ამავე, შემთხვევით გარედან მონაბერი, ცხელ-ცხელ ამბად ითვლება.

გინდა კი იცოდეს, რა გინდა, იცოდეს, რა ხდება ქვეყნად, ციხის გაღების გადამს!

ვისიმე წასვლა ციხიდან მთელი ზარ-ზეიშია პატიმართა ცხოვრებაში: იშვიათია, ვინმემ გასძლოს სასჯელის გადის გათავებამდე. ბევრი იხოცება, მაგრამ ბევრი ახალი მოპყავთ, სულ მოპყავთ და მოპყავთ. აი, მიდის ს ე რ გ ო რ რ ე ო ნ ი კ ი ძ ე.

სერგოს გაუთავდა კატორღის ვადა და საეტაპო წესით გზავნიან უფადო გადასახლებაში შორეული ციხიბრის მიგრანდული ადგილას. მთელი თავისი ავლადილება: პატარა ჩაიდან, პაწია ტოლჩა, ჩანთა შაქრით მარცხენა ხელში უჭირავს. იღლიაში ამოუჩრია გახუნებული საბანი სალდათური შალისა, რომელშიაც შეხვეულია გაცვეთილი, ჩალით გატენილი ბალიში. საბანი და ბალიში სახაზინოა, გასვლის წინ ეს ქონება საპატიმროს ციხისპირაში უნდა ჩააბაროს.

სერგოს ლელავს. უნდა დასტოვოს ჩაიდან და შაქარი, მაგრამ ამხანაგები არ ანებებენ, ეუბნებიან:

— წაიღე, დაგჭირდება, შორი გზა გაქვს.

მაგიდაზე საბნის ნაჭერს დებს. არაფერს წინააღმდეგე არ არის. იცან, რომ მუხარაგენი საპონს არ გაატანენ გზაში. ეშინიათ: ერთივე ვნახოთ, პატიმარმა ქუსლები დაისასნოს, წაიძროს ბორკილები და გაიტყვოს.

საკანში მყოფნი ლელავენ. ერთმანეთს არ აცლიან მიმავალ ამხანაგთან გამოთხოვებას. ესევე, პკოცინან, შენატარაან...

— ორჯონიკიძე! — აყრუებს საკანს მედილეტის ძახილი, თანაც ღირსად როდი თვლის დაუმატოს — ჩქარა მოემზადეო.

— კვლავ ვნახეთ ერთმანეთს სხვა წესწყობილების ვითარებაში, — გადასძახებს სერგო დარჩენილ ამხანაგებს.

რკინის კარი დაიკეტა. საკანში მიღი-მოღიან გულის სიღრმეში ადევლებული ადამიანები. ყველას თავში უტრია-ლებს: დამარჩა კიდევ ცამეტი წელიწადი... თექვსმეტი წელიწადი... თორმეტი წელიწადი და 17 დღე... რა ხდება ნეტავ, იქ, გარეთ, სადაც შორს, შორს... კედლებს ვადაღმა!

სულთაჟრა დიდხანს გრძელდება.

1917 წლის 28 თებერვალა, საღამო ხანი. „სასაირონოდ“ ცართ ციხის ეზოში. ერთი საკანის ხალხი მიმედეტრიალებთ წვეილ-წვეილად პატარა წრეში. ჩემი წვეილი იუსტინე ყუქია. ჩემად ვსაუბრობთ. ერთმანეთს ვეკვრით. ხმას ამაღლებას, უკან მობრუნებას, განზე გასვლას მოსდევს სროლა, სიკვდილი და... სამი მანეთი ჯილოდ მსროლულ მედილეტს.

ო, რა დახარბებული არიან ეს საზიზღრები ამ სამ მანეთზე!

გაილო ჭიშკარი, შემოვიდა უფროსი მედილეტე, საპატიმროს კანტორაში წაიყვანა ამხანაგე ყუქია და მალაშკინი. ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ციხის ცხოვრებაში. უშიშარი ბოლშევიკი იუსტინე ყუქი ახლანამ გამოვიდა კარცერიდან. მთელი თვე გაატარა იქ. ქალაქ პეტროგრადის უფროსი თავადი ოპოლენსკი რომ ციხის დასათვალიერებლად მოვიდა, მის კითხვაზე, გაქვთ რაიმე სათხოვარი, საჩივარი ან განცხადებაო, პეტრე ყუქმა სეროოზულად უთხრა:

— საკანში ცოცხი არ არის. გაცვით განკარგულება — ცოცხი მოგვცენ.

თავადის გაკვირვებული გამოხედვა! მედილეტეა წარმელებული კისრები, მათი შეშინებული სახე!

მიხვდა თავადი, რომ აბუჩად იგდებდნენ; არ ელოდა ყოველმხრივ უფლებაყრილ პატიმრისაგან ასეთ თავხედობას. იგი არისტოკრატულად უსწორდება რკინაში ჩაჭედულ პატიმარს: თავისი ღირსების დამცირებლად თვლის ლაპარაკი გააბას მასთან, მედილურად ზურგს შეაქცევს მას და გადის საკანიდან. მიხვედრილმა მედილეტემ იციან უმისოდაც, რომ ასეთი თავხედობისათვის პატიმარი ყუქი კარცერში უნდა ჩაისვას. ეს ცისფერ მუნდირში გამოწყობილმა ლამაზმა თავადმაც მშვენივრად იცის. კიდევ კარგი, რომ ყუქი ასი როზვის დარტყმას გადაურჩა.

და აი იღება ჭიშკარი, ყუქი და

მალაშკინი ბრუნდებიან კანტორიდან. ფერ-ფერი წასვლიათ. ბუმბერაზი ყუქი გაფითრებულია, ლამოზს რაღაცის თქმას, მაგრამ ვერ ახერხებს, დიდხანს ვერ ახერხებს.

ბოლოს ძლივს წამოიძახა:

— თავისუფლება, ამხანაგებო! რეგოლუცია!!!

შეირა რიგები, აირიგენ პატიმრები, აცვივდით ზემო სართულში. ვხედავთ: ზღვა ხალხი ციხეს ახვევია. წითელი დროშები ფრიალებენ, თავისუფლად ფრიალებენ. იგრილა მარსელიოზან.

საფლავში რეგოლუციის ტალღა შემოიჭრა.

გაილო მიმედ ნაჭედი ციხის კარები, საუკუნეობით რომ იცავდა „მეფის სახლის“ ბინადართ... გაილო და გაღებულად დარჩა!

აირიგენ ერთმანეთში პატიმართა ბუშლატები და მუშათა კურტკები. კოცინან, იცინიან, ტირიან. აგერ ვიღაც იმპროვიზირებულ ტრიბუნაზე ავირდა, სიტყვას ამბობს, სამინოდ ღელავს, იხვევა, მივრეც ლამოზს რაღაც წარმოთქვას, მაგრამ არაფერი გამოდის: ცრემლებთან ერთად ყლაპავს თავის სიტყვებს.

ერთი სულაც გაგიჟდა. იგი უცნაურად ხარხარებს და უკანვე საპატიმროში გაბრბის.

— ვერა, ძმაო, ვერ მომატყუებ... თავს არ გავაცემინებ... არა, ხრიკი არ გაგივა... შენ აქტი მიჩვენე, მაშინ დაგვიკურებ. ხელმონაწიერია საჭირო... ხელმონაწიერი, უმისოდ არ შეიძლება, — ახეილად ვაპყვირის უბედური.

მისმა რკინის ნებისყოფამ მრავალ წელს გაუძლო „რუსული ბასტილის“ სამინელ რეჟიმს, მაგრამ მისმავე ნათელმა გონებამ ველარ გაუძლო თავისუფლების პირველი სხივების ტალღას.

ხალხი ღელავს, გუგუნებს, ღელავს ისე, როგორც ადვლდება ხოლმე გაზაფხულის შუქზე ლაღოვა, ადვლდება და ნამსხვრევებად აქცევს მისი სულისა და ბუნების შემშუთეული ცივი ყინულის სულარას.

ჩამოხვლდა.

მღელვარე მოძრაობა. სასადილოებში ფუსფუსებენ მუშები, სტუდენტები, მოაქეთ მაგიდაზე პური, ხორცეული, კარტოფილი... გვთხოვენ, გვეპატოქებიან, გვიმასპინძლებიან.

არავინ ჯდება, არავინ ეკარება საჭმელს, აბა ვის სცალია საჭმელისათვის: მღელვარებამ წალკა სურვილები, გრძნობები.

თავი მეწვის, ისე მეწვის, როგორც არასოდეს, მაშინაც კი, როდესაც ამ ათი წლის წინათ მაპატიმრებდნენ.

მიახლოვდება ხნიერი მუშა:

— ჩემსას წამოდი, ამხანაგო, წავიდეთ!

თვლით ვანიშნებ პავლე მარდალევივილზე³.

— დიდი სიამოვნებით. ეგაც წამოვიდეს, ყველანი წამოდიო.

შეგდივართ ოთახში. ვხედავთ ყოველივე იმას, რაც ათი წლის განმავლობაში არ მინახავს: ქალებს, ბავშვებს, სამოვარს, თევზებს, გიტარას, ხელოვნურ ყვავილებს, ფარდებს.

— ამხანაგო, ცოცხალია ლენინი? — ვეკითხები მასპინძელს.



შლისელბურგის ციხის პატიმარი თედორე შავიშვილი.

მოსხუცმა შემომხვდა, პასუხი დაუგვიანდა.

— შარშან ცოცხალი იყო, ახლა ვინ იცის, წყევლმა ომმა ყველაფერი არაია, — გამოგვეხმარა მისი შვილი, ახალგაზრდა მუშა.

შლისელბურგის გრძელი ზამთრის ღამეა. ვწევართ სამნი ერთად, საერთო ოთახში, იატაკზე. შეუსწავტლად ვეწეით თუთუნს, ვეწეით და ვეჭირობთ.

— ნეტავი მალე გათენდეს! ვნახოთ როგორია ჩვენს მიერ დიდი, დიდი ხნის წინათ დატოვებული ქვეყანა.

— დიად, დიად, ვნახეთ, — მიბასუნებს ხამუშ-ხამუშ პავლე.

ეს იყო სამშაბათს ღამით 1917 წლის 28 თებერვალს (13 მარტს) და ის ღამე ყველაზე უფრო ხანგრძლივი ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში.

შლისელბურგის ციხის ხედი.




¹ იუსტინე (პეტრე) ყუქი მეთაურობდა დივიზიას, 1919 წელს დაიღუპა სამოქალაქო ომის დროს თეთრფინელებთან ბრძოლაში. მიხეილ მალაშკინიც სამოქალაქო ომშია დღესპული.

² შლისელბურგის საპატიმროს ეზოში შესასვლელ ალყაფის კარებზე იყო წარწერა: Государева.

³ პავლე მარდალევივილი და ნიკოლოზ ივანოვი მენშევიკებმა დახვრიტეს 1921 წ. მარტში ქუთაისის მახლობლად.

ველმოხდილი

ლითონი გულითაჲ



წლის ყოველ დროს, რანაირი ამინდით არ უნდა იყოს, მატარებლის მოსვლა-მდე რამდენიმე წუთით ადრე, რკინიგზის სადგურის ბაქანზე უთუოდ შეხედებით უარმა მოხუცს. იგი იქვე, სადგურიდან ასიოდ მეტრის დაშორებით, საკუთარ პატარა სახლში ცხოვრობს. ყოველდღე, ზუსტად ერთსა და იმავე დროს მოხუცი ქუჩაში გამოდის და ღიჯით სადგურისაკენ მიემართება. მარცხენა ხელით მომცრო ყავარჯენს ეყრდნობა, დროდადრო სულის მოსათქმელად შეჩერდება და შემდეგ კვლავ განაგრძობს გზას. შეხვედრისას ნაცნობები მოხუცს მოკრძალებით ესალმებიან. რომელიმე მათგანი მხარში ამოუდგება და სადგურის ბაქანამდე მიაცილებს. აქ ის ერთხელ ამოჩემბულ ადგილზე ჯდება ცაცხვის ჩრდილში და მატარებლის მოლოდინში ყურადღებით გასცქერის ივრის ნაპირზე გადაჭიმულ ხოდაბუნებს.

მოახლოებული მატარებლის კივილის გაგონებისთანავე მოხუცს მხერა ბაქანზე გადააქვს, წარბებზე ღრმად ჩამჯდარი ცისფერი თვალები ახალგაზრდული ელვარებით გაუბრწყინდება და მის გამხედავში მხოლოდ გამოუთქმელ სიამოვნებას ამოიკითხავთ.

უცნობმა მგზავრმა მოხუცს შეიძლება არც კი მიაქციოს ყურადღება, მაგრამ ხანმოკლე ვაგონის გამცილებლები, რომლებიც დიდი ხანია კახეთის გზაზე მუშაობენ, კარგად იცნობენ მას. ისინი ყოველთვის გამოხატავენ ხოლმე რამდენიმე წუთს მოხუცთან გამოსალაპარაკებლად. არც კი ჩამოჯდებიან, ისე გამოაკითხავენ ოჯახის ამბავს, თვითონაც რამე ახალს ეტყვიან და მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობებიან.

როდესაც მატარებლები თავის გზას გაუდგებიან და ბაქანზე დაცარიელდება, მოხუცი სადგურის მორიგის ოთახს მიასურებს.

— რომელთან ვალაპარაკო, ძია სერგო? — ღიმილით ჰკითხავს მოხუცს მორიგე, მაგრამ პასუხს აღარ ელოდება, ისე გამოიძახებს ივრის ან გურჯაანის სადგურს, იმისდა მიხედვით, თუ წინაღობს რომელთან ალაპარაკა.

— დღესაც ასე მოხდა...

— პატარას გუშინ ველაპარაკე, დღეს ილუმა გამომიძახე, შენს გავრდას, ბავშვების ამბავი მინდა გავიგო, — დიხვად მიუჯო მოხუცმა, თუმცა იცოდა, რომ მორიგეს კარგად ახსოვდა დღეს რომელი შვილის გამოძახების რიგი იყო. გურჯაანმა სწრაფად უპასუხა. მოხუცმა მითითებულად ხელით აიღო ყურმილი და რამდენიმე წუთს ელაპარაკა გურჯაანის სადგურის უფროსს — თავის შუათანა ვაჟიშვილს.

სადგურის უფროსის კაბინეტიდან ასოვანი ტანის ახალგაზრდამ გამოიხედა.

— გუშინწინ არ ელაპარაკე ილოს, მამაჩემო, ეგრე მალე მოგვანატრა შვილიშვილების ამბის გაგება? — სიცილით მიმართა მოხუცს მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა ვასომ — რკინიგზის საგარეჯოს სადგურის უფროსმა.

— აქ ვიყავი და ბარე ამბავიც გავიგე, დედაცამა აღარ მომასვენა, — თითქოს თავი გაიმართლო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა მოხუცმა. მერე წელში გასწორდა, შუბლზე კოპები შეიკრა, საწვიმარი ღრუბელივით მიიღუშა და სიყრმისშვილს შეუტია:

— ჩემს ხანად თქვენც მოიყრებით, ბარტყები დადიფრინდებიან და ვნახოთ, როგორ არ მოგვანატრებათ მათი ხმის გაგონება!

ალარაფერი უთქვამს მოხუცს, კარი უჩუმრად გაიხურა და ჩვეული დიხვი ნაბიჯით სახლისკენ გასწავა. აღარც სხვები გაეპასუხნენ, მოხუცის ზედმეტად აღელვებას მოერიდნენ...

სალამოს მე და ვასო ძია სერგოს ვესტუმრეთ. მოხუცი ჩრდილში წამოწოლილიყო და თვლებდა. ჩვენს ფეხის ხმაზე გამოერკვა, წამოიწია და მოგვესალმა, მერე თუთის ქვეშ მიგვიპატია — დაბრძანდით.

მასწინვე საუბარი ვავაბით.

მძიმე, მაგრამ საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება გაუტარებია 70 წელს გადაცილებულ საპატრიო რკინიგზელს სერგო სამაშვილს. 17 წლის ჰაბუს დღე-შეთის რაიონის მალაშვილის სოფელი მიუტოვებია და ბედის საძიებლად ბარში ჩამოსულა. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ რკინიგზელ ბიძას სანაინში ლიანდაგის შემკეთებელ მუშად მოუწვევია და მას შემდეგ 50 წელი ლიანდაგზე სიარულში გაუტარებია, ჯერ მუშად, შემდეგ ბრიგადირად და ბოლოს გზის ოსტადად.

— რთულია ჩვენი სამუშაო, — ამბობს მოხუცი, — მაგრამ თუ ხელი მოკიდდე, სიბერემდე თავს ვეღარ წართმევ, ჩავთრევს... მე ეხლა აღარ ვმუშაობ, პენსიაზე ვადავდი, მაგრამ შინ ვერ ვისვენებ. საგარეჯოს უბანზე ოცი წელი ვიმუშავე და ლიანდაგის გასწვრივ ყოველ მტკაველ მიწას, ყოველ ბურქს ვიცნობ. ახალგაზრდები ხშირად მკითხებიან ხოლმე — ეს როგორ გავაკეთოთ, აქ როგორ

მოვიქცეთო. აბა, როგორ დავიხარებ, ჩემი ცოდნა ვინმეს დავემადლო? ჩემს ბიჭებსაც, სამივეს, პირველად ლიანდაგის შეკეთებაზე დავაწყებინებ მუშაობას. ასე უკნობია, გზის უფროსადაც არ ივარგებს კაცი, თუ რკინიგზაზე უბრალო მუშად არ უმუშავია. მერე ვასწავლე კიდეც, პარტიამ და მთავრობამ დიდი დახმარება გამოიწიეს, უფროსი, როგორც იცით, შინ დარჩა, საგარეჯოს სადგურის უფროსია, შუათანა გურჯაანის სადგურის უფროსად დაწინაურეს, უმცროსი კი იორზე, სადგურის უფროსის თანაშემწეა. სამივეს ჯერჯერობით კარგი სახელი აქვთ, უფროსებიც და ხელქვეითებიც ემადლოებიან.

მალე შვილიშვილებიც წამოიხედავიან, ანდრეად დავტოვებ — იმათაც და იმათაც შვილიშვილებიც რკინიგზას უფრე არ აქციონ. გავიგე, მალე ელმაცლები ივლიან კახეთში, მართალია, შვილო? — მომმართა მე და როდესაც დასტური მიიღო, უფრო აღეგნო.

— ჰოდა, აბა მითხარი, სადლა უნდა წავიდნენ, რკინიგზელზე უკეთეს ხელობას სხვა რას ისწავლიან...

მზე დასაყვითისაქენ გადაიწვინა. სიო არ იძვროდა და ჰაერში სულმეხუთავი სიციხე იდგა. მოხუცმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და სახლწინ გაშენებულ ვენახს გახედა.

— ვას წყალი უჭირს, ამ ოხერმა გვალვამ ერთიანად მოთოქა რქაცა და ნაყოფიც. ბიჭებმა ვენახი გამიშენეს — სიბერეში არ მოიწყინოს, გაერთოს მამაჩემო.

კიდეც კარგა ხანს ვისაუბრეთ ვალმოდლო რკინიგზელთან. გულბოლი საუბარში დრომ შეუმჩვენლად გაიბრინა. მასპინძელმა თავისი ვენახის პირველმოკრეფილი ყურძნის წვენი გავვასინჯა და წასვლისას, ჭიშკრადღე მიგვაცილა.

— ჰო, მამაჩემო, კინაღამ დამაიწყდა, — გამოთხოვებისას მოავკონდა ვასომ. — დღეს პარტიული ორგანიზაციის კრება გვაქვს და არ დაავიანო... 1924 წლიდან პარტიის წევრია მამაჩემი. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცდა, არც ერთ კრებას არ აცდენს. ყველა სამეურნეო და ორგანიზაციული საკითხის გარჩევაში აქტიურად მონაწილეობს, ძველი გვარდია ასე იოლად არ თმობს, — გაიცინა ვასომ.

...ყოველთვის ასეა, როდესაც აღამიანი მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას აღამიანების კეთილდღეობისათვის შრომაში ატარებს. ასეთი აღამიანები არ ბერდებიან.

ფოტოზე: მოხუცი რკინიგზელი სერგო სამაშვილი და სადგურის მეისრე სანდრო ჯანდავაშვილი.



ზურაბ ქახიანიძე

ნ ა ვ ა რ ...

ქალაქის ქუჩა დაფარა ფარამ,
წინ მიუძღვება ყოჩთა სარდლობა...
წრიალებს შარა,
წკრიალებს ზარა,
მაცქერალ ბავშვთა თავგასართობად.

მწყემსებს უჭირავთ კომბლები შვინდის,
ნავაზთ კბილები თეთრად კრთებიან...
ჰყვავის აპრილი ტურფა და მშვიდი,
და ფარას მთისკენ ერეკებიან.

ცხენებს ჰკიდიათ მწყემსების ბარგი,
ცნობისმოყვარე შესცქერის ხალხი...
მე მომავლდა ბლის ქერქის აბავით
როგორ ვმწყემსავდი ყრმობისას ნახირს.

ეჰ, ეს არც მითქვამს სტრიქონში დღემდე,
განა მისთვის რომ გულზე მესობა?!
ვის გაუკვირდეს ყაზბეგის შემდეგ
საქართველოში ჩემი მწყემსობა.

და ამ ყოჩების ზართა წკარუნმა
მე მომავონა ყრმობა თეთრგულა,
სამწყემსურიდან რომ გაპარულა
და ჯერაც რომ არ დაბრუნებულა.

მის შემდეგ რაღას მემახსოვრება,
რამდენი დღე და დამე გავიდა...
შემდეგ გავიცან ქვეყნად ცხოვრება
და შიგ შევცურე ჩემი ნავითა.

წიგნთან რამდენი დაღნა ხანთელი,
წიგნით წინვლისი გზა გავიდვილი;
მაგრამ დამაკლდა ქვეყნად რამდენი,
მკერდით რომ მოვწყუდი ყრმობის
ადგილებს.

აღარ შემორჩა ხალათის კალთებს
ნელდო თივის და მარწყვის სურნელი...
შუბლს თითქოს უჭერს მხურვალე ხალტე
და სოფლის სიოს არის მხურვალე.

ვეღარ შევყურებ ფრენას არწივთა
და მთის ნიაღვრის ზათქით მოვარდნას.
ახე მგონია, ლექსიც გამწირდა,
ბუნების ძუძუ რომ შემოაკლდა.

ეჰ, რაც იქნება, აპრილს ვენდობი,
წავალ, მშობლიურს ვნახავ მთავორებს;
ვერ დამლოის გზა და მძიმე ფერდობი,
მუხლში ჩავიდვამ ქარის ძალ-ლონეს.

წავალ, მცირე ხნით დავტოვებ საქმეს,
დამიკარავენ წვივებს მაკვლები,
გზის პირას სადმე გამოვჭრი სახრეს
და წყალწითელას ფშანებს ავევები.

წავალ, იქ ვპოვებ ახალ იმედებს,
ვეწვევი მწყემსებს,
ავშლი ნახირსაც,
რომ შემოვიდეს ლექსში ხინდელი
ახლადმოკრული რცხილის სახრისა.

— უი, ვნახოთ, თუ არ გამეღვიძოს.
 — ვნახოთ.
 — იქნებ დაგასწრო კიდეც ადგომა.
 — აბა, შენ იცი!
 — ოღონდ არ გამეპარო, თორემ ძალიან მეწყინება.

— გაგებარა? აი, შენ რომ ადგომას დამასწრებ, გაპარულიც დაგზვდები, — იღიშება ძია შაქრო და მონადირის გრძელსა და თბილ წინდებს თავს საწოლთან პყრის. მერე დაკვირვებით ათვალიერებს ოთახის ყოველ კუთხულს, ხომ არაფერი მავიწყდება, ხვალინდელი ნადირობის თადარიგს იჭერს. თუმცა რა უნდა და-

ეგ არი! — ფიქრებიდან გამომარკვია ძია შაქროს ხმა.

— მძინავს, ძია შაქრო!
 — ფხიზელი ძილი გვოდნია, მებასები კიდეც. — ძია შაქრომ სინათლე ჩააქრო. ოთახში წყვილადი ჩამოწვა, ახლა ეზოში უფრო მეტი სინათლე იყო. მთვარის შუქზე ჩანდა ბალახებში გაწოლილი ბასარა. ძალიც გრძნობდა, რომ ხვალ დიდი ჯაფა დაადგებოდა და ისვენებდა.

— არაფერი დაგესიზმროს, ბიჭო, ნადირობაზე, — მომესმა ძია შაქროს ხმა, ასე ჭინკებისა და ქაჯების „საკუთარი თვალით“ მნახველნი ჩურჩულებენ ხოლმე.

შეიძლება ამ მშვენიერ დილას ძია შაქროს თოფის მსხვერპლი გახდეს, და მე წინასწარ შემენანა ის საცოდავი კურდღელი.

მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შესაცოდებელი არაფერი ჰქონია იმ კურდღელს, რადგან მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, ჩვენ კი ხელცარიელნი განვარძობდით ტყე-ტყე ხეტიალს, საკმაო დალილებიც ვიყავით, მაგრამ ძია შაქრო მაინც მამიდებდა, ბასარა კვალს მიავნებს და კურდღელს აუცილებლად წამოავლებს. ამიტომ გაუცაცობით ვადევნებდი თვალს ძალიან ყოველ მოძრაობას. მიწაში ცხვირჩარბობილი

შაქროს, თან მჯეროდა, თან არ მჯეროდა მისი ნამბობი. თუმცა რად უნდა დასკირვებოდა ჩემთან ტყუილად. მართალია, მონადირეებს უყვართ ხოლმე გადაჭარბება, ხშირად სხვის გამირობას საკუთრად ასაღებენ, მაგრამ რატომ არ შეიძლება ეს გამირობა სწორედ ძია შაქროს ჩაედინა? განა ნაკლები ვუყავომა გამოუჩინა ფრონტზე?

ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც შურდულვით თავზე რაღაცამ გადაგვიქროლა, გაიშხილა და ასევე უმცრად სიჩუმე ჩამოვარდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ კარგახანს ხმა ვერ ამოვიღე.

— რა იყო? — ვკითხე ბოლოს.
 გაშეშებულიყო ძია შაქრო. მალა, ხის კენწეროებს შორის, ცას გაჟუჟრებდა, ეტყობა ვერც გაიგონა ჩემი შეკითხვა, თითქოს აღარც ახსოვდა, რომ მეც იქვე ვიყავი. „აჰა, ასე გამოიყურებიან მონადირენი, როცა მარ-

საქროს მონადირე

ელ. ყიფიანი

მოთხრობა

მხატვარი ზ. ლეჟავა

ვიწყლებს, ჩემსავით პირველად ხომ არ მიდის სანადიროდ.

ყველაფერი, რაც ნადირობაზე გამიგონია, უმეტესად, ძია შაქროსაგან ვიცი და ყველაფერი, რაც ძია შაქროს ვიცი, უმეტესად ნადირობას შეეხება. სამი წელია, ზედიზედ ვთხოვდი სანადიროდ წყავანს და მხოლოდ დღეს შეიწყნარა ჩემი ვედრება. ასე რომ ხვალ პირველად მივდივარ სანადიროდ, მართალია, თოფს ჯერ არ მანდობენ, მაგრამ მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

ძია შაქრო მაგიდასთან დგას და ჩვეულებრივ ემზადება; მშვიდად, აუღელვებლად, შეჩვეული და გააფუხული მოძრაობით, როგორც მე ვემზადები ხოლმე სკოლაში წასასვლელად, ოღონდ ძია შაქრო წიგნების მაგივრად ჩანთაში სათადარიგო ვაზნებსა და საუზმეს აწყობს, თან მალიმალ იყურება ჩემი საწოლისაკენ და თავისი ერთადერთი თვალით ცდილობს გაარჩიოს, ჩამეძინა თუ არა.

ძია შაქროს სამამულო ომში დაუკარგავს თვალი. ჰოსპიტლიდან იწერებოდა თურმე, ნათესავებს ამხნევებდა: „ისედაც სულ მოხუჭული მქონდა ფრონტზე და დიდი არაფერი დანაკლისია“, მაგრამ ხუმრობის გუნებაზე რიდი ყოფილა მაშინ ძია შაქრო, წყევლიდა მტერს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების აშლა-დარღვევისათვის. თავის მშობლიურ ყვარელში დაბრუნებისას, კიდევ ერთხელ უგრძნობა ომის საზინელბა: დაქვრივებულიყვენ ქალები, დაობლებულიყვენ ბავშვები. მე ერთი წლის ვყოფილვარ მაშინ, მამაჩემის დაღუპვის ამბავიც მაშინ მოსულა.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. ახლა მშვიდად და ტკბილად ცხოვრობს ძია შაქრო. მხოლოდ ხანდახან, როცა ახალმოდებულ ვაჟებს კითხულობს ხოლმე, შუბლი შეეჭმუნება, ის ერთადერთი თვალი აუხამხამდება, და მე ვხვდები, რომ იმ წუთში ძია შაქრო ახალი ომის მოტრფიალეთ ლანძღავს გულში.

— ბიჭო, პაატა, კიდევ გვციხავს? არ გდომია სანადიროდ წამოსვლა და

— რატომ?
 — არ ვარცა, ცუდად მაქვს დაცილილი, კარგი მონადირე სიზმრებში როდი ნადირობს.
 მე ვიგრძენი, რომ ძია შაქრო იღიმებოდა.

ეტყობა, დაბადებთვე გამომყოლია ნადირობის ნიჭი, რადგან ეს პირველი პირობა გადაჭარბებით შევასრულე, და არათუ ნადირობაზე დამე-სიზმრა რაიმე, არამედ განთიადისას, თვალი რომ გავახილდე, ვიფიქრე, ჩასუნთქვაზე ჩამეძინა და ამოსუნთქვაზე გამომეღვიძა-მეთქი, ისე სწრაფად გაველო დამეს...

არ მეგონა, ასე თუ დაყოვნდებოდა მზის ამოსვლა, განთიადიდან მზის გამოჩენამდე დიდი დრო ყოფილა თურმე, იმდენად დიდი, რომ ყვარელს გამოცილებულთ, ჩვენ უკვე დღურუჯის ამომშრალი კალაპოტიც უკან გვექონდა მოტოვებული, ახლა კუდიგორას აღმართს მივყვებოდით, ბინდი კი ჯერ არ გაფანტულიყო. წინ გაქცეულ ბასარას ვერ ვხედავდით, თუმცა მისი ფეხის ხმა გვესმოდა. მხოლოდ მთების მოხაზულობა ჩანდა ცის საზღვართან. მწვერვალებზე სქელი ნისლი მატყლივით იწეწებოდა, თითქოს ძილში ყვინთავდნენ მთები, თითქოს დამუნჯებულიყო ქვეყანა დამის ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ. ეძინა მიწას.


მაგრამ ამ სიმშვიდესა და უძრობას შეჩვეული თვალი უნებურად გაგეპტეოდა ცისკენ, რადგან იქ, მაღლა, უკვე გაეღვიძა ზეცას, უკვე წამოშლილიყვენ დრუბლები, ერთმანეთს დადევნებოდნენ, ერთმანეთს ერეკებოდნენ, სადღაც მიიჩქაროდნენ, ირეოდნენ და ამ არეულობაში დიდი, შავპირა დრუბლები გზადაგზა ნთქავდნენ პატარებს. თანდათან ფართოვდებოდა, იზრდებოდა და იშლებოდა ზეცის ლურჯი თალი.

ცა ემზადებოდა მზის მისაღებად. ძია შაქროს სახრესავით შემოედო კისერზე თოფი, ტარსა და ლულაში ხელში ჩაეჭიდნა და ტანის რწევით მიჰყვებოდა აღმართს. მე ფეხდაფეხ მივდევდი და რატომღაც ვფიქრობდი იმ კურდღელზე, რომელიც ახლა სადღაც სორაში ან ჩირაგებშია მიმაღული და აზრადაც არ მოსდის, რომ

დარბოდა ბასარა, რაც ტყეში შევედით, თავი არ აუწევია, თითქოს რცხვენოდა ძია შაქროსი. ხანდახან შეჩერდებოდა, განიხებოდა, ყურებს ცქვეტდა და განცვიფრებული ბავშვივით შეატრიალებდა თავს, მაგრამ არსად ჩანდა კვალი, მით უმეტეს, კურდღელი. მეცოდებოდა ძია შაქრო, ნამდვილი ნადირობის ჩვენებას იყო დაპირებული, ჩემი გახარება და გართობა უნდოდა, მაგრამ რა მინი ბრალია... ნეტავ, წვიმა მაინც წამოსულყო ამ დილით, თავს გაიმართლებდა ძია შაქრო — ნაკვალევი გადაიშალა და ძალი ვეღარ აგნებოდა. ბოლოს, როცა მთის გადაღმა ფერდობი ჩავიარეთ და მაღალ მუხნარში შევედით, ეტყობა, იმედი გაიწყვიტა ძია შაქრომ, ასე იმიტომ მომიჩვენა, რომ მოულოდნელად თავისი თავისა და ბასარას ქება დაიწყო, აქაოდა, არ გეგონოს მუდამ ასე ხელცარიელი ვბრუნდებოდე ნადირობიდანო.

ერთხელ თურმე ბასარა ბურჩქებში წამოგდებულ კურდღელს დაედევნა. კურდღელმა მხარი უქცია და მოზრდილ ხრამს გადაეგლო, ბასარაც მიჰყვა თურმე, მაგრამ საოცარი რამ მოხდა; მიწას მომწყდარი ძალი უეცრად ჰაერში შემოტრიალდა, თითქოს გამოღმა რაღაც დაავიწყდა, და ასე უკუღმა, უკანა ფეხებით დაახტა ხრამის გაღმა ნაპირს. რათა-მეთქი, რომ ვკითხე ძია შაქროს, მიბახუხა, ჰაერში გაფრენილმა ბასარამ დათვის სუნი იუნოსა და, რა თქმა უნდა, ჰაერშივე მოისაზრა; ამ ქვეციანი კურდღლის დევნას, დათვი არა სჯობიაო?

— მერე?! — ვკითხე მე.
 — მერე, როგორა გეგონია, დათვს ცოცხალს გავუშვებოდა?
 — მოჰკალი, ძია შაქრო?
 — მოკალი, მაგრამ... საზიაროდ — ვილაცას ესროლნა ჩემამდე, სულ ახალი დაქრილი იყო. გამიკვირდა, რატომ თოფის ხმა ვერ გავიგონე-მეთქი. გავატყავე ნადირი, ავეკე, ბეჭში გაციებულ ტყვიასაც მივავენი და ყველაფერს მივხვდი. ტყვია უცხო იარაღისა იყო... შევატყობინე სოფელში და იმ საღამოსვე დივერსანტი დავიჭირეთ, უხმო ნაგანა აღმოაჩინდა, მამ. თვალგაშტერებული ვუსმენდი ძია



ტომარტო დახეტიალობენ ტყეში“, გავიფიქრე მე და ძალს შევხედე. ბასარაც მაღლა იყურებოდა და მთელი ტანით კანკალებდა. ის იყო, ხელმეორედ უნდა მეკითხა, რომ ისევ გადაგვიქროლა თავზე რაღაცამ, ისევ გაიშხილა და გაქრა. აქამდე მხარზე ჩამოკიდებული თოფი ძია შაქროს ხელში მოემარჯვნა, თვალიც ვერ მოვკარი, ისე სწრაფად ჩამოეღო.

— რა არის, ძია შაქრო?
 — ქორია, — ჩიალპარაკა თავისთვის.
 — მერე? უნდა მოჰკლა?
 — ქორია? რა ბედენად მინდა!
 — მამ?
 — მსხვილ ფრინველს დასდევნებია, ვერ ვიცანი, რა იყო.

ძია შაქრო იქვე, ბორცვზე ავიდა სახე მოიჩრდილა და ჩვენს წინ გადაშლილ ტყესა და ტყით დაფარულ მთებს გახედა.
 — ბიჭო, პაატა, ამოდი აქა!
 მეც ბორცვზე ავირბინე და მეც მოვიჩრდილე თვალები.
 — აბა, გაიხედ-გამოიხედე, რამეს ხომ არ ამჩნევ...

ცალი თვალის დაკარგვა ნადირობაში ხელს არ უშლიდა ძია შაქროს, რადგან სწორედ მარჯვენა შერჩასალი, მაგრამ მხედველობა მაინც დააკლდა და შორეულ საგნებს ვერ არჩევდა ხოლმე.

დიდხანს გაუყურებდი ხვრცეს. ცაზე, მზის გარდა, არაფერი იყო. შორს, ხეათ კენწეროების თავზე, ამომართულიყო გრემის ტაძარი. ტაძრის შენო-



ბა არ ჩანდა და გუმბათი თითქოს შა-
ერში ტივტივებდა. უცრად გუმბათს
ორი შავი წერტილი დაჩანდა, მერე
წაიშალა და ცაზე აღიბეჭდა. წერტი-
ლები თითქოს გაუნძრევლად ეკიდნენ
ჰაერში, მაგრამ თანდათან იზრდებო-
დნენ. დაძაბულობისაგან თვალები ამე-
წვა, თუმცა თითის ამოსმა ვერ გავ-
ბედდი, მეშინოდა, მერე ვეღარ ვიპო-
ვი ცაზე იმ წერტილებს-მეთქი.

— ძია შაქრო, ძია შაქრო, ის ხომ
არ არის?! — დავიყვირე მე, როცა
წერტილები ფრინველებად გადაიქ-
ცნენ.

— აბა, აბა, — ფხინსწვერებზე წა-
მოიწია ძია შაქრომ და თოფი ხელში
შეათამაშა.

— აი, გუმბათის გასწვრივ, ხელავ?
— ის უნდა იყოს, ის ვერანა, მაგ-
რამ რას მოსდევს რომ არ ვიცი!

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გადაგვიქ-
როლა თავზე ქორმა და იმ უცნობმა
ფრინველმა, მაგრამ ახლა ცოტა მალ-
ლა იყვნენ და უფრო დიდხანს შეიძ-
ლებოდა თვალის გადევნება.

— ბიჭო, პატა, ქედანია, ბიჭო!
— ქედანია?

— ჰო, გარეული მტრედია, ქორს
შევაქმევ მაგასა?! ისეთი გემრიელი
ხორცი აქვს, რომ... ვინა თქვა ხელ-
ცარიელი დავბრუნდები ნადირობიდა-
ნო, როდის დავბრუნებულვარ, რომ
ახლა დავბრუნდე. ჰაი დედასა, შაქრო
წაუტაშვილო, მაგრა დადექ, ხელი არ
აგვიანალოდე! — ამხნევებდა თავის-
თავს ბავშვივით აღტაცებული ძია
შაქრო.

— აბა, ერთი ცოტა ახლოს დამე-
ნახე ჩემო მტრედო, — თავისთვის
ჩაილაპარაკა ბოლოს.

მაგრამ მტრედი სულ მალა და
მალა მიიღტვოდა, თითქოს მზისკენ
იტყუებდა ქორს, თითქოს გადაეწვი-
ოდა მზეზე დაფრთხილიყო და ქორს
კი არ ჩავარდნოდა ბრჭყალებში. „საწ-
ყალს, როგორ უცემს ალბათ გული,
იქნებ დევნილი ადამიანით მალიმალ
იხედება უკან, ქორისაკენ და მიჰქ-
რის სულ სწრაფად და სწრაფად,
სულ წინ და წინ, სიცოცხლისაკენ“.

ვუქორბდი გულში და მოხიბლული
ვიყვირე ამ უწყინარი ფრინველის სი-
ლადით. მაგრამ სანამდე უნდა ფერინა
ქედანს? მართლაც მზემდე ხომ არ
აფრინდებოდა? ქედანი წამით ჰაერში
გაიყინა და ერთბაშად დაბლა წამოვი-
და. ახლა კი იდროვა ქორმა, მოკეცა
ფრთები და ქვესავით დაეშვა. მალა,
ცისაკენ, მტრედი ასწრებდა, დაბლა,
მიწისკენ, ქორი ეწეოდა...

მტრედი ჰაერში გადატრიალდა და
ალბადედა დაუცვლა ქორის კლანჭებს,
ფრთები დაიქნია და ისევ მალა ას-
რიალდა. გაბოროტებული და პირში
ჩალაგამოვლებული ქორი მძიმედ შე-
მობრუნდა და უფრო მეტი სიკაპსით
გამოუდგა ქედანს. ასე განმეორდა
რამდენჯერმე. ცისკენ მტრედი ჯაბ-
ნიდა ქორს, მაგრამ იღვებოდა საცო-
დავი, დაბლა დაშვებისას ისვენებდა
და ისევ ცას ეშურებოდა. ძია შაქროც
ვაეტაცნა ამ ორთა ბრძოლას, თოფმო-
მარჯვებული ხელები ახლა მოსდუნე-
ბოდა და პირდაღებული გასცქეროდა
ზედას.

მტრედი ჩვენს პირდაპირ, მთის
კალთაზე შეფენილ წიფლნარში ჩაე-
შვა, ეტუბა, მოიქანცა საწყალი, და
ახლა დაბურული ტყის იმედიდა შერ-
ჩენოდა.

— ხელავ, რა ოინსა ხმარობს? —
წამოიძახა მოულოდნელად ძია შაქ-
რომ და მიმოიხედა, რომ უფრო მალა-
ლი ადგილი შეერჩია, ბორცვზე.

მე აღარ ვკითხე, თუ რა ოინს ხმა-
რობდა მტრედი. მინდოდა თვითონ მივ-
ხედრილიყავი, და მართლაც მივხვდი.

ხეთა კენწეროების გასწვრივ ზიგზა-
გებით მიჰქროდა მტრედი, მოხერხე-
ბულად მიიკვლევდა გზას ტოტებს
შორის, წარამარა იცვლიდა მიმარ-
თულებას, ბლანდავდა, გზას უზნევდა
მტაცებელს, ერთ ხეს რომ მარჯვნი-
დან აუვლიდა გვერდს, მეორეს მარც-
ხნივ ჩაუქროლებდა, თითქოს დაკლაკ-
ნილმა და უჩინარ ბილიკს გასდევნი-
ბოდა. არ მეგონა, ამდენის მოფიქრება
თუ შეეძლო ფრინველს, ასე თუ უყვა-
რდა სიცოცხლე.

დიდხანს სდია ქორმა, დიდხანს იწ-
ვალა და ბოლოს აკი მართლაც გას-
ქრა მტრედის ოინსა — ქორი ხის
ტოტს შეენარცხა და გაბრუნებული
ხეებში გაუჩინარდა. თითქოს მომესმა
კიდევ, თუ როგორ დაასკდა ქორი
მიწას. უზომოდ გახარებულმა ტაში
შემოვკარი.

გადარჩენილმა და გამარჯვებულმა
მტრედმა კამარა შეჰქრა, ლაღად შეი-
ნავარდა ჰაერში, რამდენჯერმე გადატ-
რიალდა და ელვის უსწრაფესად გა-
მოფრინდა ჩვენსკენ. თითქოს ათმაგი
ძალა შეემატაო, ისე თავისუფლად
სტრიდა ჰაერს. თუ მტრედებმა ღიმი-
ლი იციან, ალბათ, ის მტრედიც იღი-
მეოდა ახლა. თუ მტრედებს ფვა-
ლები უბრწყინდებდა სიხარულისაგან,
ალბათ, იმ მტრედსაც გაბრწყინებუ-
ლი ჰქონდა თვალები. მე ფხის წვე-
რებზე ვიწეოდი, მინდოდა, რაც შეიძ-
ლებდა ახლოს დამენახა, როცა თავზე
გადავიქროლებოდა. აი, მოახლოვდა,
უკვე მის ფერსაც ვამჩნევდი, მის
კობტა თავსაც, ფრთების მოყვანილო-
ბასაც. ერთბაშად გაიზარდა, ერთბაშად
გავვისწორდა და... თოფის გრილმა
გააყრუა ტყე. მოულოდნელი გასრო-
ლისაგან შევხტი და კინაღამ წონასწო-
რობა დაკვარე.

— აბა, მიდი ბასარა, ბასარა მიდი! —
თითქოს სიხმარში ვარო, ისე შორეუ-
ლი მეჩვენა ძია შაქროს ხმა. არასო-
დეს ჰქონია ასე ცივი და უგულო
გამოხედვა. ძია შაქრომ ბორცვი ჩაირ-
ბინა. ბორცვზე მე და თოფის კვამლი
დავრჩით, და ეს კვამლი თანდათან
უფრო გასქელდა და გარუხდა; ალბათ,
ცრემლებმა მომაჩვენა ასე.

ბასარა ადგილს მოსწყდა და იქით-
კენ გაექანა, სადაც მტრედი უნდა
ჩავარდნილიყო. ძალღს ძია შაქრო
აედევნა. მეც ავითრიე ფეხი, მინდოდა
ახლოს მენახა საწყალი ფრინველი.

ოციოდ ნაბიჯზე ბასარა შედგა, რა-
ღაცას დაყნოსა, მერე თავი მალა
ასწია და ძია შაქროს გამოხედა, ისევ
დაყნოსა და ისევ გამოიხედა. ამდენ-
ხანს ყურებადამცვეტილსა და ნადი-
რობის ეშხზე მოსულ ძალღს თითქოს
ერთბაშად მადა დაეკარგაო, სულ მო-
დუნდა, კუდი ჩამოუვარდა, ოდნავ
აუაუყული ბეწვი გაუსწორდა.

— მოიტა, ბასარა, მოიტა! — შეუ-
ძახა ძია შაქრომ.

მაგრამ ბასარა შემობრუნდა და
იქვე, ბლანხებში დაწვა. ახლა კი გა-
ციცხლდა ძია შაქრო:

— მართლა ძალღიშვილი ვიყო, თუ
ეგეც ზედ არ მივაყოლე მტრედსა,
აღე-მეთქი, ძალღო... მოიტა, ბასარა,
მოიტა...

ბასარა არ იმძრეოდა და მორჩილად,
თითქოს დარცხვენითადად უყურებდა
პატრონს.

პირველად მე მივირბინე მტრედ-
თან, საცოდავი, გულაღმა დავარდნი-
ლიყო, ხვერდით ბზილა ბუმბული
სისხლით დახვრდა, ეტუბა, სასიკვ-
დილოდ არ დაიჭრა, ცოცხალი დაე-
ნარცხა მიწას, ახლა კი სისხლისაგან
იცლებოდა, მაგრამ სულ ოდნავ, ძლივს
შესამჩნევად არხევდა ფრთებს. უბე-
დურს, კვლავ ცაზე მონავარდე თუ
ეგონა თავი, იქნებ გუმანში კვლავ
გაურბოდა ქორს...

— ვაი, ჩემს თავსა! — მომესმა უკა-
ნიდან, მივიხედე, ძია შაქრო წამოდ-
გომოდა, — ვაი ჩემს უგონო გონება-
სა, ეს რა მომსვლია, ჰა?!

— რა მოხდა, ძია შაქრო?

— მეც არ ვამიკვირდა, რა ღმერ-
თი გაუწყრა-მეთქი ძალღსა?!

— ძია შაქრო, არ მეტყვი რა მოხ-
და? — შევივებდრე მე, რადგან შეწუხე-
ბული და დანაღვლიანებული მომეჩვენ-
ა, მიწეში კი ვერ ვამეგო.

— შინაური მტრედი მომიკლავს, მე
ხელმოსაქრელსა!
— შინაური?!

— შინაური, შინაური... ვერა ხელავ,
რომ შინაური? — ისე გაბრაზდა ძია
შაქრო, თითქოს მე ძველი მემტრედე
ვეყოფილიყო.

— ბასარამ იმიტომ არ მოჰქიდა
პირი?

— საქმეც ეგ არი და... ძალღმა
გაარჩია და მე ვერ გავარჩიე. — სინა-
ნულით წამოიძახა ძია შაქრომ, — ადა-
მიანის სუნი იგრძნო ბასარამ, გაიგე?
და ხელი არ ახლო, მე კი...

ძია შაქრომ მტრედი ფრთხილად
აიღო, ფრინველს თავი გადაუვარდა
და ნისკარტილად სისხლმა გამოწვეთა,
ძია შაქროს ის ერთადერთი თვალი
აუხამხამდა, ცოტა აკლდა ტირილსაც
დაიწყებდა. არასოდეს მენახა ასე
გულაჩვილებული.

— დავბრმავდი, მართლა დავბრმავ-
დი, თორემ ჰაერშივე არ უნდა შემე-
ტყო, რომ შინაური? პატა, ბიჭო,
აბა, მითხარი ბრმა მონადირე გავონი-
ლა?...
ვიცოდი, რომ ძია შაქრო მტრედს
ნანადირევად და ნადავლად აღარ ჩათვ-
ლიდა და ტყეში დატოვებდა, მე კი
მინდოდა შინ წამეღო, იქნებ ვინმეს
ფიტული გაეკეთებინა მისგან. ძია
შაქრომ თხოვნა შემისრულა და იმის
მაგივრად, რომ მოკლული ფრინველი
წინ ჩამოეკიდა, როგორც ეს თავმო-
წონე მონადირეებს სჩვეიათ, საამა-
ყოლ და სხვათა თვალის დასაბრმავებ-
ლად, მტრედი ჩანათაში ჩამალა.

ჩვენი წამოსვლა უფრო გამოპარავს
ჰგავდა. დამნაშავეებივით ფრთხილად,
უსიტყვოდ მივიკვლევდით გზას ტყე-
ში. მიაკანტურებდა თავს ძია შაქრო,
თუმცა მიწას დასცქეროდა, მაგრამ
ხშირად წაბარბაცდებოდა ხოლმე უს-
წორმასწორო ბილიკზე. ჩვენ გეზი
შარაგისაკენ გვექირა. ასე გვექონდა
დათქმული—ნადირობის შემდეგ შემ-
ხვედრ მანქანით დავბრუნებულყავით
ყვარელში.

მე სულ მალა ასულიყო და ახლა
ტყის ყოველი კუნჭულისთვის დაეგა
თვალი, ჩრდილებიც დაემოკლებინა,
რომ უფრო კარგად დაენახა ყველა-
ფერი, და მე უცრად შემრცხვა მზისა.
მძიმედ, მედიდურად ტრიალებდა
ცაში ქორი, ხან ალმაცურად გაფრინ-
დებოდა, თითქოს ცალმა ფრთამ დას-
ძლიოდა, და ისევ შედგებოდა ჰაერში.
ალბათ, ის ქორი იყო, ისევ მტრედს
თუ დაეძებდა, ანდა, იქნებ მიმხვდა-
რი იყო ყველაფერს, ჩვენ გვითვალ-
თვალებდა და გულში დაგვიცინოდა; მე
მტაცებელს მესახით და თქვენ კი რა
ჩაიღინეთო. ძია შაქრო ვერ ამჩნევდა
ქორს, აღარც მე ვუთხარი, იქნებ
იმახაც მკვდრად თვლის და ამით გულს
ინუგუშებს-მეთქი.

იმ მტრედისაგან ძია შაქრომ ფიტუ-
ლი გააკეთებინა და მე მაჩუქა. ფიტუ-
ლი თბილისში ჩამოვიტანე და პირ-
ველსავე დღეს სკოლაში წამოვიღე.
მინდოდა ნატურალისტთა წრისთვის
გადამეცა. როცა ჩვენი ბიოლოგიის
კაბინეტის კარი შევადე, უცრად შევ-
კრთი, — ედლიდან მიცქეროდა ფრთებ-
გაშლილი, თვალბეწვით დაწებულ, ნის-
კარტაღებული ქორის ფიტული,
უნებურად ჩემს მტრედს ხელები გა-
დავაფარე.

შევუბრები კედელს და ვვაქრობ-
დი, რომ იმ ქორის მკვლელ მონადი-
რეს ორივე თვალი ექნებოდა, რომ
ძია შაქროც ქორს ესროდა, შინაური
მტრედი რომ ეცნო. და ვნატრობდი,
რომ არასოდეს, არასოდეს არ იყოს
ომი, რომ ადამიანებმა ყოველთვის
გაარჩიონ კეთილი ბოროტისაგან, რომ
ქვეყნად მომრავლდეს მტრედები და
მოსიპოს ქორის სახენებელი.





თბილისი. ლენინის მემორიალი (გრაფიკა ლინოლეუმზე).



ახალი თბილისი

იზრდება და ღამაზდება ჩვენი სავაჭრო თბილისი. არა მარტო გარეუბნებში, ქალაქის ცენტრშიც იმდენია ახალი ქუჩები - დელაქალაქის მნიშვნელობა ამოავსებს ვარაზის ღამა ზედა ქუჩაზე. გარეუბნებშიც იმდენია და ვაკის გარეუბნებშიც იმდენია ღამაზდება ახალი ქუჩა აეროპორტის მიმართულებით.

იყო დრო, რაც თბილისელი მოქალაქე ოდნავი სინანულით აფიქსირებდა საზღვარგარეთულ ევროპულში მითავსებულ უცხო ქალაქთა ღამაზ კეთილშეიშობას და ფოტოსურათებს, დღეს კი თბილისი საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი დიდ ქალაქთაგანია. ნახევარი მილიონზე მეტი მცხოვრებით, მრავალფეროვანი ტრანსპორტით, უმრავლესი კულტურული დაწესებულებითა და უამრავი ქარხნებით

ვახტანგ გორგასლის ხოხობზე ნადირობის ლეგენდასა და ამ ფოტოსურათის სასწრაფო აღწერებს ქმნა საუკუნისა ჩვენი დელაქალაქი, მაგრამ იგი ხოლოდ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში - საბჭოთა ხელისუფლების პარობებში აყვავდა და გაიზარდა. გაიზარდა იმ რიგად, რომ ღამაზდა, საქართველოს ყველი დელაქალაქის მცხეთის საზღვრებს მიეზღვის. როგორც მცხეთის, ისე თბილისის მიწის წიაღი წარსულის მლიდარ და მრავალფეროვან ინვენტარს იზახავს, მაგრამ თბილისისათვის, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქისათვის, დამახასიათებელი და განმსხვავებელი ის არის, რომ მათ ქუჩებსა და უბნებს შიგნითა საბჭოთა სინამდვილე - ის, რაც აწინააღმდეგებს განმავლობაში, ის, რაც უმრავლესი ზემოთაა.

სწორედ ეს ახალი ყველაზე ღამაზი და მიმზიდველი!

თბილისი, ხელი გმართა მიუდინარ ვარაზს ზევე ღამაზი.
ფეხადი ფოტო ვ. თიქაძისა.




თბილისი. სტალონის სა-
ხელობის ზიდი მტკვარზე
(გრაფიურა ლინოლეუმზე).
მხატვ. ნ. ჩერნიშკოვი.



გრაფიკული
ბიზნისი

1952



ძველი თბილისი (გრაფიურა ლინოლეუმზე).
მხატვ. ნ. ჩერნიშკოვი.

1952

რი, ოღონდ ამჯერად ეცოცხლა ბავშვს... ამბობდა: თუ გოგო დაიბადებოდა, სკილს გაატანდა ცოლად...

რილ-მორილი იყო. ეტყობოდა, ძლიერი კრუნჩხვისაგან აქეთიქით აწყდებოდა... ბავშვი ტიროდა...

ერთი თვის შემდეგ, სწორედ ზამთრის დამდეგს, გაიბრუნა მიმი ახალ გაცდა — ისე ცუდად იყო, რომ ორჯერ...

— არ ვიცი, ღმერთი მაპატიებს თუ არა, — ტირილით ამბობდა აზიზ-ალა — დამიცავს თუ არა საშინელი განკითხვის...



სპარსულიდან თარგმანით. ქ. კეხელაძემ

რა უცნაური სანახაობა იყო, როცა ქალაქში პირველი ავტომანქანა გამოჩნდა... ნამდვილი ჯახრაკი, მხროლოცი...



აცნობდა გიორგის, მალე გამოცდებიც ჩააბარებინა და გზა დაულოცა მას, ვინც ქართველთაგან პირველი მიუჯდა მანქანის საჭეს...

უკანასკნელ ხანს ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალი უცხოელი მოღვაწე ეწვია თბილისს. რუმინელმა მწერალმა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა ვიქტორ კერნაზმა ერთი თვე დაჰყო საქართველოში, მან დაათვალიერა რესპუბლიკის ლირსმკვანის-შნავი ადგილები და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა თავის სამშობლოში. ვ. კერნაზის თბილისში ყოფნის დროს, აქ გაიხსნა პოლონელი მხატვრის ვალიშევსკის გამოფენა. მარჯვნივ მოთავსებულ ფოტოზე აღბეჭდილია ვ. კერნაზი (წინა პლანზე) გამოფენის და-თვალიერების დროს.

ჩვენს რესპუბლიკას ეწვია ჟურნალ „ბოლგარიას“ რედაქტორი კ. გიორგიევა. სხვა და-წესებულებებს შორის, იგი გაეცნო, აგრეთვე, ჟურნალ „დროშის“ მუშაობას. ქართველ და ბულგარულ ჟურნალისტებს შორის გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა რედაქციების მუშაობის შესახებ.

ფოტოზე: კ. გიორგიევა (შუაში) ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში.



ეროვნული გიგლიოთეკა

რუმინელი მეტალურგები რუსთავში


ეს იყო 1956 წლის სექტემბერი! რუსთავში ჩამოვიდნენ რუმინელი სპეციალისტები — ინჟინრები და ტექნიკოსები. ისინი ჩამოვიდნენ თანახმად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულებისა, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთ ტექნიკურ დახმარებას.

ამა წლის ივლის-აგვისტოში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ რომანში მწყობრში ჩადგება ახალი მილ-საკლინავი ქარხანა, ჩვენი რუსთავის გიგანტის მაგვარი.

მე რუმინელი სპეციალისტი მშობლიურ მეტალურგიულ ქარხანას მოახმარს იმ ახალ ცოდნასა და ტექნიკურ გამოცდილებას, რომელიც მათ მანძილზე მიიღო სტალინის სახ. ამირკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში.

რუმინელ ინჟინერთა შემადგენლობა რუსთავში ეცნობოდა და სწავლობდა საბჭოთა სპე-

უზარმაზარი დგანის პულტთან დგას მარენიკე ბუშტა.



გამკერავ-დგანის ბრიგადირ რუსთაველ ცვიგუნთან მიმაგრებულ იყო რუმინელი იონ ანტონი (მარჯვნივ).

ციალისტების მრავალწლიან გამოცდილებას.

მუშა-ხელოსანთა შემადგენლობა კი უშუალოდ დგანზე მუშაობდა. ქარხანაში მათთვის სათანადო პირობები იყო შექმნილი: თვითიღი მათგანი მიმაგრებული იყო რუსთავის გამოცდილ ოსტატთან და მასთან ერთად მონაწილეობდა წარმოების პროცესებში. მაგალითად, ახალგაზრდა სპეციალისტი ბერსანი, რომელიც თავის სამშობლოში მუშაობდა სხვა ტიპის დგანზე, აქ — რუსთავში „დგან 400-ზე“ დაეუფლა ახალ კვალიფიკაციას — მილმგლინავისას. ბერსანი სამშობლოში დაამზადებს მილებს — რომლებშიაც იდენს ნავთი — სახელგანთქმული ნავთი პლოეშტიხა!

რუმინელები პრაქტიკასა და თეორიას ერთმანეთს არ აცილებდნენ: ჯგუფი დაყოფილი იყო ქვეჯგუფებად, მათთან თეორიულ მეცადინეობას ატარებდნენ მაღალკვალიფიციური-ბული საბჭოთა სპეციალისტები.

მე-ვე რუმინელი ჩაბმული იყო რუსული ენის შემსწავლელ წრეში. დასვენებისთვისაც კარგი პირობები შეუქმნეს რუსთაველმა მასპინძლებმა რუმინელ სტუმრებს.



რუმინელებს ხშირად ნახავ-

დით თბილისში, მათ დაათვალიერეს მუზეუმები, იყვნენ ოპერაში, სადაც ქართულ საოპერო სპექტაკლებს გარდა დაესწრნენ რუმინელი მსახიობების საგასტროლო სპექტაკლებს.

რუმინელმა მეგობრებმა საქართველოს ბევრი კუთხე ნახეს — იყვნენ წინანდალში, მცხეთაში, გორში. მათთვის კარგად ცნობილია საქართველოსა და რუმინეთს შორის წარსულში არსებული კულტურული კავშირი. ისინი პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებენ — ანთიმოზ ივერიელს, წარმოშობით ქართველს, რუმინეთის კულტურის დიდ მოღვაწეს, რომელმაც თავის სამშობლო საქართველოს დახმარება გაუწია პირველი სტამბის მოწყობაში.

მე თვემ სწრაფად გაირბინა, დადგა დრო სტუმრების გამაჯვრებისა. მეტალურგთა ქალაქი ემშვიდობებოდა რუმინელ სტუმრებს, სადგური ხალხით აივსო; რუმინელები მად-

ახალნაყიდ მოტოციკლტის გამოცდის შემდეგ...



ალოო! ალოო! ბუქარესტია?!.. რუსთავიდან გელაბარაკებით... — როგორც ყველა მისი ამხანაგი, ედუ შეხტერიც ხშირად უქავშირდებოდა ტელეფონით სამშობლოს.

ლობელი არიან იმ სიბოხსა და ყურადღებისათვის, რომელიც ამ წინის განმავლობაში რუსთაველმა მეგობრებმა არ დაიშურეს მათთვის. ისინი არ დაივიწყებენ არასოდეს სტუმართმოყვარე საქართველოს, მის ხალხს.

მიმავალი მატარებლიდან დიდხანს ისმოდა — „ნახვამდის მეგობრებო!“

თანახმად შეთანხმებისა, მეგობრები ამიერიდან წერილებით აცნობებენ ერთმანეთს — შრომით მიღწევებზე, თავიანთ გეგმებზე და ზრახვებზე, ტექნიკურ სიახლეებზე, თავიანთ სკოლებზე და პიონერ-მოსწავლეთა ცხოვრებაზე.

ქ. რომანისა და ქ. რუსთავის მეტალურგების მეგობრობა დღითი დღე განმტკიცდება.

გიგნი აბაშიძე


თბილისი ქარიზები

ქრონიკული
გიგლითაქა

თბილისის ბაზრებთან და სავაჭრო ბაზრების ახლომახლო ხშირად ნახავდით კურტიან მუშებს, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ტვირთის გადაზიდვაში, ლუკმა-პურის მოსაპოვებლად. დღიური შრომით დაღლილი ისინი ღამეებს ათენებდნენ ნესტიან და ბნელ სარდაფებში. ანტიპიგიენურ პირობებში მცხოვრებთა ხშირი სტუმარი იყო ინფექციური დაავადებანი — ყვავილი, ხოლერა და მრავალი სხვა.

ასე გამოიყურებოდნენ თბილისელი ქურთები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. დღემო ოქტომბერმა მეფის რუსეთის დამონებულ ყველა ხალხს აღორძინების ფართო გზა გაუხსნა.

თბილისელი ქურთების ყოფა-ცხოვრებაც შეიცვალა.



ქიარიმ სისოევი საქდესის ლიტერატურული თანამშრომელია. იგი ყოველდღიურად აგროვებს ცნობებს ახალი თბილისის მზარდი ცხოვრების შესახებ. იზრდება მისი მშობლიური ქალაქი, მასთან ერთად იზრდება ქიარიმიც. ეს-ეს არის ქიარიმი სამუშაოდან დაბრუნდა. ოჯახი მას გულთბილად ეგებება, უფროს ქალი შვილს გაკვეთილები დაუმზადებია.

ამ სურათზე თბილისელ ქურთ მწერალთა ერთი ჯგუფია. ქურთი პოეტების ლექსების ქართული თარგმანების წიგნი ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა სახელგამმა. ახლა ისინი ახალ კრებულს ამზადებენ. პოეტი ტოგარ ბროევი უკითხავს კოლეგებს ახალ ლექსს, (მარცხ. მარჯვნივ) მორო მამედოვი, ქიარიმ ამოევი, ხაჩიკ მურადოვი და ტოგარ ბროევი.

მეწოვე ნ. იბრაჰიმოვი მს კომისრის სახელობის რაისაბქოს დეპუტატია. იგი მრავალჯერ არის დაჯილდოებული სიგელებით თავისი უზნის სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავისათვის.





კომკავშირის თბილისის კომიტეტთან არსებობს ქურთული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, რომელსაც ქურთული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის კარგი მცოდნე ო. სიხოიანი ხელმძღვანელობს.




აი, მელღუშეებმა ჩაბბერეს ღუღუშებს—ფერხულს უვლიან მოცეკვავეები.



ძველად თბილისელ ქურთებს შორის იშვიათად მოიძებნებოდა წერა-კითხვის მცოდნე, ახლა, არა თუ საშუალო სკოლებში სწავლობენ ქურთი ბავშვები, ისინი უმაღლეს სასწავლებლებშიაც წარჩინებით მეცადინეობენ. სურათზეა ქურთი სტუდენტების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ქიარიმ თაოფევი (პედინსტიტუტი), შაბო ტალოფევი (პოლიტექნ. ინსტიტუტი), გოზალა ამოევა (სამედ. ინსტიტუტი), უნია ხატოევა (პოლიტექნ. ინსტიტუტი), პოლინა ნადიროვა (სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ქიარიმ ამოევი (სახ. უნივერსიტეტის აღმო-სავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი).



იხლო ამოევი და შალვა ამარიანი შოფრები არიან. ისინი შს კომისრის სახ. რაიონის დასუფთავების ტრესტში მუშაობენ.



კარგად კერავს მამაკაცის კოსტიუმებს არტელ „წითელი მკერავის“ მოდელების ატელიეს მკერავი საბრი ტაოფევი.

მრავალშვილიანი დედაა ზილფუ მამარიანი. სურათზე ხუთი მათგანია გამონათული, ზილფუს ორი ვაჟიშვილი საბჭოთა არმიის რიგებშია. დანარჩენები სკოლაში სწავლობენ. ზილფუ-მაც ისწავლა წერა-კითხვა. ახლა ის სიამოვნებით უსმენს თავისი შვილების მიერ წაკითხულ ზღაპრებსა და მოთხრობებს.

ფოტო 3. ჯეირანოვისა



„სისკარი“

ახალი ჟურნალი თავისთავად სასიხარულო მოვლენაა, მაგრამ მისი პირველი ნომრისადმი მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო მხატვრული მასალის გამოკვეთებით. ამ ჟურნალის პირველსავე ფურცლებზე ერთმანეთს თითქოს სიმბოლიურად შეხვდნენ ჩვენი ლიტერატურის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. ჟურნალის ფურცლები უნებურად იქცა მძაფრი შემოქმედებითი შეჯიბრების ასპარეზად. „სისკარის“ პირველი ნომერი იხსნება მურმან ლებანიძის ლექსით „ახალგაზრდობა“. ეს ლექსი ჩვენი თაობის ახალგაზრდობის მდელვარე ცხოვრების პათოსითაა აღბეჭდილი და უვერტურასავით უძღვის პირველ ნომერში თავმოყრილ ლიტერატურულ მასალას. პოეზიის ნაცადი ოსტატების ძალა და ფხიანობა ამჩნევიათ აქვე დაბეჭდილ გ. ლეონიძის და ს. ჩიქოვანის ლექსებს. ამ სახელმძღვანელო შემოქმედთა გვერდით კითხულობთ ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების ა. სულაკაურისა და თ. ჭილაძის ლექსებს. სიჭაბუკის ნათელი გრძნობებით და სამშობლოს სიყვარულითაა შთაგონებული მათი სტრუქციონები.

ინტერესით კითხულობთ მ. ჯავახიშვილის მოთხრობას „მიწის ყვილი“. პროზის გამოცდილი ოსტატის ხელით აქ მკაფიოდაა გამოკვეთილი ფანტაზიკოსობამდე მისული სიყვარული მშობლიური მიწა-წყლისა. ლევან გოთუას მოთხრობას „გრემული ქარვასლიონი“ ისტორიულ წარსულში გადავყავართ. ამ მოთხრობაში ძლიერი მხატვრული ფერებით აღდგენილია ქართველი ხალხის ყოფის კოლორიტული სურათი.

გ. ნატროშვილის „წაქროს ბიჭი“ კი ჩვენი სოფლის დღევანდელ ყოფასა და მის ადამიანებზე მოგვითხრობს. მოთხრობას ოდნავ სატირული ელფერი ვადა-შკრავს და გადავყავართ თანამედროვე ახალგაზრდის დამაჯერებელ მხატვრულ სახეში ჩვენი ყოფის ზოგიერთ მანკიერებას აშიშვლებს.

ქაშნიკი — გონებამახვილურად დაურქმევიათ ჟურნალის იმ განყოფილებებისათვის, სადაც დაბეჭდილია ახალგაზრდა პოეტის ანზორ სალუქვაძის ლირიკული ლექსები, გ. რჩულიშვილისა და გ. გეგეშიძის მოთხრობები. აქ ზოგი რამ შეიძლება არ გექაშნიკოთ, სადაოდ მიიჩნით, მაგრამ უდავოა ერთი რამ: დღემდე ქართველი მკითხველისთვის უცნობი ეს სამი ახალგაზრდა (განსაკუთრებით გ. რჩულიშვილი) უეჭველ ნიჭსა და გემოვნებას ამჟღავნებს. არანაკლებად საინტერესოა კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება. აქ დაბეჭდილია საინტერესო წერილები ჩვენი ლიტერატურის საჭირობოტო საკითხებზე: გ. ასათიანის „შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტის შესახებ“, ნ. ქავჭავაძის „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო“, თ. კოპლატაძისა და წ. ჭუმბურიძის „რუსულ-ქართული ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა დადგენისათვის“, ს. ცაიშვილის „ახალი მასალები და აფეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი“. ჟურნალს ამრავალფეროვანებს და საგრძნობლად ამდიდრებს ი. აბაშიძის ნარკვევი „ინდოეთის გზებზე“, რომელშიც პოეტი ინდოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უფიარებს ქართველ მკითხველს.

„სისკარის“ პირველ ნომერს, როგორც ყოველ ახალ წამოწყებას, თან ახლავს თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც, მაგრამ მისი ძირითადი მასალა ხალხის, ახალი და საინტერესოა. ჩვენი მკითხველი სიყვარულით მიიღებს მას.

„ლიგიაგუჩანია გრუზია“

გამოვიდა ჟურნალ „ლიტერატურაია გრუზიის“ პირველი ნომერი. ამგვარი ჟურნალის გამოცემა კარგა ხანია მომწიფდა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ

ცხოვრებაში და ბუნებრივია მკითხველის გულისყური „ლიტერატურაია გრუზიის“ პირველი ნომრისადმი. პირველ ნომერში წარმოდგენილ ავტორთა უბრალო ჩამოთვლაც კი გვაწმუნებს იმაში, რომ მის ფურცლებზე საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალი მწერალი ამტყვევდება ქართველ კალმოსანთა გვერდით. ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტების — ტიციან ტაბიძის, ალიო მირცხულავას, ირაკლი აბაშიძის ლექსების თარგმანებთან ერთად, ჟურნალი აქვეყნებს აწერბაიჯანელი პოეტის სულეიმან რუსტამის, ოსი პოეტის ვაფეის და ქურთი ახალგაზრდა პოეტის ტ. ბროვეის ლირიკულ ლექსებს. აქვე შეხვდებით, ერთი მხრივ, ქართული სიტყვის გენიის ვაჟა-ფშაველას ლექსებს და, მეორე მხრივ, მ. მრეველიშვილის, ხ. ბერულიავას და მ. ლებანიძის ლექსებს დაიღვინებ და ჩვენი ადამიანების გმირულ ცხოვრებაზე. მრავალფეროვანადაა ჟურნალში წარმოდგენილი პროზაც. აქ დაბეჭდილია შ. დადიანის რომანი „გვირგვლიანების ოჯახი“ და გ. ნატროშვილის მოთხრობა „კვლავ გაზაფხული იყო იორზე“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სახელოვანი რუსი მწერლის ნიკოლოზ ტიხონოვის მოთხრობა „წყნეთის საღამოები“, რომელშიც გამოხატულია რუსი თანამედროვე ინტილიგენტის უზალო სიყვარული საქართველოსადმი.

ინტერესით იკითხება ახალგაზრდა რუსი მწერლის მიხეილ ლოხვიციის მოთხრობა „ზაფხულის დღეს“. ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობისა და საბჭოთა ადამიანების გმირული საქმეებისადმი მიძღვნილი ი. დუბინსკის ნარკვევი „ქალაქი, ადამიანები, კონფლიქტები“. ლიტერატურულ წერილებიდან უნდა აღინიშნოს ს. ქავთარაძის „ლუი არაგონი ქართული ლიტერატურის შესახებ“ და გ. ლომიძის ვრცელი პროზაული ნაშრომი „ლიტერატურის ნაციონალური თავისებურების საკითხები“. წიგნების მიმოხილვის განყოფილებაში დაბეჭდილია ვ. მაჭავარიანის რეცენზია, გ. ქიქოძის „მოგონებების“ გარშემო, მ. ჯავერიანის რეცენზია მ. ქვლივიძის ლირიკული ლექსების კრებულზე, დ. სტურუას რეცენზია 1956 წლის მოსკოვში გამოცემული ა. ბელიაშვილის მოთხრობებზე.

ორი ახალი ჟურნალი დაადგა ჩვენი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების დიდ შარავზას.

პახანა ნალაიიპილი

საკუთარ ჩრდილსაც გაგდევნებოფარ და ხევის პირად კლდეზე დახრილი, ჩემსავე სტვენას დავდევნებოფარ შორი ქედების გამოძახილით, მერე ვიღაცა გამოჯავრებით დამიბრუნებდა სტვენას გაღმიდან, მე თუ ამ ყოფით არ ვიღლებოდი, იმ მაღალ ქედებს რაღა დაღლიდა. გავიცინებდი... ყურს მივუვლებდი... შორეული მთაც სიცილს მყრიდა.

კვადი სილაზა

გატოპობათ გოგონებს დეღე, კაბა მუხლამდე აუწვევიათ, გაღმა გასულან... წასულან მერე, წყალნი წასულან... წლებიც წასულან... მოგონებები ვედარ დასრულდა. ხომ არ გინახათ, გოგონებმა საით გასტოპეს, ქვიშაზე კვადი არ დაჩრენიათ, გულში დასტოვეს...

რა შუაშია სულწასულობა, რა შუაშია, მითხარ, სიხარბე, თუ ყვავილებსკენ მეც თვალი გამქექა, თუ მათი სიტურფით მეც გავიხარე. რა შუაშია, მითხარ, სიხარბე, როდესაც გზისპირად ხარობს ყვავილი, ერთი შენ იყო, არ გაუჩრდებდი? არა? მამ ისე გულგრილად ჩაივლი?

მერე შენ დაქენები ვით ია ლარნაკში ღამით წყალი რომ არ გამოუცვალეს, მოვლენ მეზობლები და დავამშვიდებენ — ასე სცოდნიაო სიყვარულს უცაბედს. ასე სცოდნია... შენ ყურს არ ათხოვებ, ჯანდაბას ჭორები ქალური, იყო დრო — გიყვარდა, იყო დრო — უყვარდი, თუნდ იმ დღეებშიათვის ღირდა სიყვარული.

ლუნინე მარცინოვა

ბრუნდებოდნენ მეზობლები ქარცეცხლიდან, ბრუნდებოდნენ რკინიგზებით და ქვეთად, ბრუნდებოდნენ ვინ შარავზით, ვინ მინდვრებით, მოპყვებოდნენ სოფლის მტვრიან ბოლიკებით. იმ ზაფხულის ცხელ დღეებში ბრუნდებოდნენ, ცხრა დღის სავალს ცხრა დღეს კი არ უნდებოდნენ.. ბრუნდებოდნენ მთის მწვერვალთა დამბყრობლები, მშვიდობიან ველ-მინდვრების პატრონები. ბრუნდებოდნენ მანქანათა, ტანკთა მძღოლნი, ბრუნდებოდნენ ხალხი გამარჯვ და მეზობლო. ბრუნდებოდა?... წინ ვიღოდა მუდამ წინსვლას ჩვეული ხალხი გამარჯვებული.

ქ ს ო

რა უცნაური რამე დამჩემდა? როდესაც მარტო ვსაუბრობ შენთან რატომღაც მესმის ჩემი ნათქვამის გამოძახილი კედლის იქეთაც. და მესმის ხმები როგორ გადადის ახლო ტყეებში და შორ ჭალებში ადამიანთა საცხოვრებლებში, ნასახლარებში, ნახანძრებში. შორს ქალაქებში, მატარებლებში. ნუ გაგაკვირვებს ჩვენი ცხოვრება, როცა მანძილი არ ეღობება არც ხარხარს, ოხვრას, არც შეღონებას, და ვისმენ ხმათა განმეორებას. ესთა რაღაც საოცრად მძღავრო. ალბათ, ებოქა ასეთი არი.

ქვეყნის უკეთესი

ვიეტნამური ლეგენდა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

ვიეტნამის ცენტრალური ნაწილის სანაპიროზე, ქალაქ თურანის მახლობლად, აღმართულა პირქუში მწვერვალი — თურანი. ის გულზე მიხუტებულ ზავშიან ქალს ჰგავს. მოხუცი ვიეტნამელი ქალები შემდეგ ლეგენდას მოგვითხრობენ ამ მწვერვალზე, რომელსაც ეწოდება „დედა და შვილი“.

დიდი ხნის წინათ, ჩინეთის ზღვის სანაპიროზე, იქ, სადაც ჩვენი ძვირფასი ქვეყანა ვიეტნამე მდებარეობს, ცხოვრობდა ერთი მეთევზე თავისი ცოლით. ისინი კეთილი და ერთმანეთის მოყვარული ადამიანები იყვნენ და ამიტომაც კეთილმა სულელებმა მათ ვაჟიშვილი აჩუქეს. ბიჭუნას ანგი დაარქვეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი მათ ეყოლათ ქალიშვილი — შო. ისინი წყნარად და მშვიდად ცხოვრობდნენ, თევზი ბევრი ჰქონდათ, მეთევზის ნავს კი მუდამ წყალობდა ქარი.

დედ-მამა მუშაობდა, ბავშვები კი ზღვის პირას თამაშობდნენ. და-ძმას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, არასოდეს ჩხუბი არ მოსვლიათ. მაგრამ ერთ დღიას თავს უბედურება დაატყდათ. ერთხელ შო სახლის დალაგებაში დედის დახმარებას რომ მოიჩა, ზღვის პირას ძმისკენ გაიქცა და დაინახა: ანგი მეთევზის მძიმე და ფართოპირიანი დანით ლერწმის ღეროს თლიდა, ნაჭერნაჭერ ჭრიდა და მაღიანად სწუწნიდა წვესს. შო ყველა გოგონასავით ტკბილეთულობის მოყვარული იყო და ძმას თხოვა, ერთი ნაჭერი მეც მომეცო. ბიჭმა არ გაუგონა. პატარა შო ეხვეწება, ძმა კი ბასუხს არ ამღეგს. გოგონა გაცხარდა, ჯოხს ხელი წამოავლო, ძმას ფეხზე მოარტყა და ატყინა. ანგი გაბრაზდა, შოს დანა მოუქნია და თავში ჩასცა, შო ძირს დაეცა, კრილობიდან წითელ ნაკადულად გადმოსკდა სისხლი.

ანგი საშინელმა მწუხარებამ და შიშმა შეიპყრო და იმ ადგილს სასწრაფოდ მოშორდა.

დიდი ხნის სირბილის შემდეგ იგი მიუახლოვდა ახლობელ ნავსადგურს, სადაც ჩინეთში მიმავალი პატარა გემი იდგა. დიდი მუდარის შემდეგ ანგამ დაითანხმა გემის პატრონი და დამხმარე მუშად აიყვანეს. მამის იგი თერთმეტი წლისა იყო.

მიდიოდა წლები. ანგი მოხერხებული და ჰკვიანი ბიჭი გამოდგა. გემის პატრონს ძლიერ მოეწონა ის და დაიახლოვა, რადგან თვითონ შვილები არ უავდა, იშვილა კიდევ.

რამდენიმე წლის შემდეგ პატრონი გარდაიცვალა. მთელი თავისი მემკვიდრეობა — გემები და სათევზაო ორანძიანი ნაგები ანგის დაუტოვა. იგი მდიდარი გემების მფლობელი გახდა, მამის ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა.

ანგი ხშირად ფიქრობდა თავის სამშობლო — ვიეტნამზე. იგონებდა დედ-მამას, მძიმე ფიქრები უტრიალებდა თავში: ალბათ მისი მოხუცი მშობლები სადღაც ზღვის პირას სიღარიბეში ცხოვრობენ და მოუთმენლად ელიან თავიანთ დაკარგული შვილის გამოჩენას. და აი, ერთ მშვენიერ დღიას, გადაწყვიტა ენახა დედ-მამა. სამი საუკეთესო გემი სურსათ-სანოვაგით დატვირთა და ვიეტნამის ნაპირებისაკენ გაემართა.

მისცურავს ანგი, გული კი სევდით ეცხება. სულ უფრო და უფრო უახლოვდება მშობლიურ ნაპირს. როგორ შეხვდებიან მას მშობლები? აპატიებენ თუ არა შემთხვევითს ბოროტმოქმედებას — პატარა დის მკვლელობას? რა დაემართა მათ? ნეტავი ცოცხლები თუ არიან?

ჩამოვიდა თუ არა გემიდან, მაშინვე მშობლიური სოფლისაკენ გაეშურა. მაგრამ ახლა აქ ყველაფერი უცხო იყო მისთვის, ვერავინ იცნო — ვერც ხალხი, და ვერც ქოხები. ქუჩაში მიმავალი ახალგაზრდა

მეთევზე შეაჩერა და დაუწყო დაწვრილებით გამოკითხვა.

— ღმერთო მაღალო, — შესძახა მეთევზემ, — აი უკვე ათი წელია, რაც ამ სოფლის მცხოვრებნი სულ ერთიანად

დაიღუპნენ. ტაიფუნმა გადაიარა და მთის-ოდენა ტალღებმა ეს ნაპირები წალეკეს. ყველა დაიხრია — კაცები, ქალები და ბავშვებიც.

ამ ამბავმა მეტად დამწუხრა ანგი, ან უკეთ ლე (ეს სახელი მამობილმა დაარქვა); გულს უკლავდა იმის გაგონება, რომ მისი დედ-მამა ცოცხალი აღარ იყო.

იფიქრა, საჭიროა რითიმე უკანასკნელი პატივი მიიხვედოდა მშობლების ხსოვნას, და იქნებ ამით ცოტათი შემომსუბუქდეს ჩემი დანაშაული. გადაწყვიტა, დასახლებულიყო ახლობელ ნავსადგურში და განაგრძოლე გასცა, იქ მოეყვანათ ყველა მისი გემი.

ლე (ჩვენც ასე ვუწოდებთ მას) ტანად მაღალი, წარმოსადგები და კარგი ვაჟკაცი იყო. მდიდარ ვაჭარს ქალაქში ყველა პატივსა სცემდა, არა ერთ მშობელს სურდა მიეთხოვებინა მისთვის თავისი ქალიშვილი, ქალიშვილები კი ფარულად შეპყურებდნენ ლამაზ ლეს და ოხრავდნენ მისი დარღობით. ახალგაზრდა ვაჭარი კი ჯერ არ ფიქრობდა დაქორწინებას. ერთხელ, ლე ქალაქკარეთ გამოვიდა სასიეროდ ბაღში, მყუდრო სახლთან, თვალი მოჰკრა ლამაზ გოგონას, რომელიც ყვავილებს კრეფდა. ქალიშვილმაც შეამჩნია იგი, უხერხულობა იგრძნო, შეხედა, და დარცხენილი გაიქცა. ახალგაზრდა ლეს გულს მწველი აღი მოედო.

მას აქეთ დღე და ღამე გამუდმებით ამ გოგონაზე ფიქრობდა, ლე მიხვდა, რომ იგი სიყვარულმა შეიპყრო და დაიმონა. ამიტომაც ერთ მოხერხებულ ქალს გაანდო ყველაფერი გაეგო ამ ლამაზის შესახებ.

შუამავალმა ყველაფერი გამოიკითხა და გაიგო: ის გოგონა — ვაჭრის ქალიშვილი იყო. მამამისი აბრეშუმით ვაჭრობდა, — დიდად მიღებული კაცია და ყველა პატივსა სცემსო. მისი ერთადერთი ქალიშვილი ჯერ კიდევ გათხოვილი არ არის და არც არავისზეა დანიშნული. მის პატიოსან სახელს ერთი ბეწო ლაქაც არ მოცხებიაო. ამის შემდეგ ლემ დანიშნა ქალი. მალე ქორწილიც გადაიხადეს და ორი წელი ტკბებოდნენ ბედნიერებით. კეთილმა სულელებმა მათ ვაჟი შესძინეს. ლე ყველასთან და ყველგან იკვებინდა თავის ბედნიერებას. იგი სიამაყით იყო აღსავსე. რატომაც არა! მისი ცოლი საუცხოო სილამაზისაა, ქმრის ერთგულია და ვაჟიც აჩუქა. მისი საქმეები კარგად მიდიოდა. კიდევ სამი პატარა გემი იყიდა და გადაწყვიტა ჩინეთთან გაემართა ვაჭრობა.

— მალე მთელს სამხრეთ სანაპიროზე ყველაზე მდიდარი გემების მფლობელი ვიქნები, — ამბობდა იგი.

მაგრამ თავისი მდგომარეობით არასოდეს არ უნდა ამაყობდეს ადამიანი.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ცხოვრება უდარდელად მიმდინარეობდა, ჯან-ჯონით იცხებოდა მათი ბიჭუნაც.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სადილს შემდეგ ლე ჩრდილში ისვენებდა, ცოლმა დაუძახა. მას სქელი, ხშირი თმები დაშლოდა და ქმარს სთხოვა, დავარცხნაში მიშველებოდა. ლე სიამოვნებით დათანხმდა, აიღო სავარცხელი და ცოლის თმებს ფრთხილად ვარცხნიდა.



— ძვირფასო, რისგანა გაქვს ეს ქრილობა? — შეეკითხა და ხელბით შეეხო მის კეფას.

— ოჰ, ეს ძველი ისტორიაა, — მიუგო ცოლმა.

ლემ სთხოვა:



ქართული
ბიბლიოთეკა





საბჭოთა საქართველო
გერბიანი გაზეთი

ჩვენ შევდევართ ერთ ოთახში, სადაც თავდაპირველად შეიძლება უცნაური არაფერი მოგეჩვენოს. ეს ოთახი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობის აღმოსავლური წიგნების საამწეობო საამქროა. ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე რამდენიმე საკასო დაფა ჩარიგებული. არც ერთი მათგანი, თავისი მოცულობით, უჯრების სიმძლითა და რაოდენობით, ერთმანეთს არა ჰგავს. ბუნებრივია, აქ თავმოყრილია სხვადასხვა ენის ანბანური ნიშნები. მათ შორის: ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ლათინური, არაბული, ასურული და ბერძნული.

საოცარი ის არის, რომ ამ სხვადასხვა ენის თავისთავად მუხჯ ანბანურ გამოსახულებებს აქ მხოლოდ ერთადერთი ადამიანის მარჯვენა აცოცხლებს და ამეტიყველებს. უფრო მეტიც, იგი ამ საამქროს ფაქტიური შემქმნელია.

ეს ადამიანი ორმოც წელს მიღწეული, ასურელი ქალი ეკატერინე გულიანოვაა. ეკატერინეს მშობლიურ ენაზე მიღებული აქვს ექვსი კლასის ცოდნა და გავლილი აქვს პოლიგრაფიული სწავლების ერთწლიანი კურსი.

მაგრამ ეს სრულიად არ იყო საკმარისი ისეთი სანიმუშო და მრავალმხრივი დაოსტატებისათვის, როგორსაც მან მიადგინა. ეკატერინეს პირად უნარს, მის გონებრივ ნიჭიერებას უნდა მიეწეროს, რომ თბილისში იგი დედისთან ერთად, ზედმიწევნით დაეუფლა ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და თურქულ სამეტყველო ენას. ამასთანავე, მუყაითმა ქალმა სრულიად დამოუკიდებლად შეისწავლა ებრაული, არაბული, ბერძნული და ლათინური წერა-კითხვა. ექვსი წელიწადია, რაც ეკატერინე აქ მოვიდა. პირველ ხანებში იგი ტექსტებს მხოლოდ რუსულ და ქართულ ენებზე აწყობდა.

პროფესორ გიორგი წერეთლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მასთან მივიდა ეკატერინე გულიანოვა და მოკრძალებით განუცხადა: არაბული წიგნის აწყობა შემიძლიაო. პროფესორს დიდი ხნის მომზადებული ჰქონდა „არაბული ენის ქრესტომათია“, მაგრამ წლების მანძილზე ვერ

გამოენახა თბილისში ისეთი ადამიანი, რომელიც შესძლებდა მის აწყობას. ეკატერინე მაშინვე შეუდგა საქმეს. მალე „არაბული ენის ქრესტომათიას“ მოჰყვა იმავე ავტორის „არაბულ-ქართული ლექსიკონი“, დოც. ა. ლეკიაშვილის „არაბული ზმნის



პარადიმები“ და სხვ. ეს წიგნები უკვე გაიგზავნა აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში და საკმაო პოპულარობა მოიპოვეს.

ახლა ასურული ტექსტების დაბეჭდვა გახდა საჭირო. თუმცა ასურული ეკატერინეს მშობლიური ენაა, მაგრამ საქმისათვის ეს არ კმაროდა. არ იყო ასურული ანბანის ნიშნები, არც საანბანო კასა. კასის შედგენაც არ იყო ადვილი. ასურულ

ენას 450 საანბანო ნიშანი აქვს, ფანჯ. უფიფუტუც ასოს რამდენიმე სანიშნო ვარიანტი გააჩნია. მაგალითად, შესაძლებელია თანხმოვანი მომდევნო ასოსთან იყოს მარჯვნივ, მარცხნივ და ორმხრივ გადაბმული, ანდა ცალკე დასმული. ოთხივე შემთხვევაში ისინი ერთ ასოს აღნიშნავენ ცხადია, ასეთი ანბანური კასის შედგენა და მომავალში მასზე მუშაობა ეკატერინესაგან დიდ ენერგიას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, ეკატერინე მოსალოდნელ შრომის სიმძიმეს არ მოერიდა და საანბანო კასის ესკიზი თვითონ შეადგინა. თვითონვე წავიდა დასახმარებლად პოლიგრაფიული საქმის ცნობილ ოსტატ ვ. რცხილაძესთან, რომელმაც ასურული ანბანის ჩამოსხმა იკისრა.

ამჟამად ეკატერინე გულიანოვა დოც. კ. წერეთლის ასურულ-ქართული და ასურულ-რუსული ლექსიკონების აწყობაზე მუშაობს. განსაკუთრებით აქ მეტადინება მისი ნებისყოფა და ენების კარგი ცოდნა.

მომზადებულია, აგრეთვე, კ. წერეთლის ასურული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, რომლის აწყობას ეკატერინე წინასამუშაოს დასრულებისთანავე შეუდგება.

ასურულ-ქართული და ასურულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც მოკლე ხანში გამოვა, დიდად დაეხმარება თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს აღმოსავლური ენების წარმატებით დაუფლებაში.

1956 წელს თბილისში, ქ. ბეირუთის ქუჩაზე, „ალ-ჰიქმა“-ში დაიბეჭდა დოც. კ. წერეთლის წერილი „თანამედროვე არაბული (ასურული) დიალექტების შესწავლა საქართველოში“. ამ წერილს დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ აღმოსავლეთის ქვეყნების მთელი რიგი მეცნიერები, რომლებიც ითხოვენ ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა სამეცნიერო შრომის გაცვლას, ურთიერთ თანამშრომლობის დამყარებას.

ეკატერინე გულიანოვამ იცის ყოველივე ამის შესახებ და ამიტომაც არის, რომ არაფრად აგდებს საამქროში ესოდენ მომქანცველ მუშაობას.

ხ. არჩვაშვილი

— დღეს ძალიან ცხელი დღე იქნება, ჭექა-ქუხილი ახლოვდება. არსად არ გვეჩქარება. მომიყვივი, ძვირფასო, როგორ მოხდა ეს.

ცოლმა დიდხანს არ ახვეწინა ქმარს. გამოუტყდა, რომ აბრეშუმის მოვაჭრე არ არის მისი მშობელი მამა. მან იბოვა იგი სიცოცხისაგან, შიმშილისაგან და შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი, გზის პირას, დრაკონის წელს, როდესაც ზღვის მთელ სანაპიროზე ტაიფუნმა გადაიარა და იქაურობა მთლიანად წალეკა... მისი დედ-მამა ღარიბი მეთევზეები იყვნენ და მამის ორივენი ზღვის უფსკრულში დაიხრჩინენ. კეფაზე ჭრილობა კი იმიტომ აქვს, რომ ბავშვობისას ძმამ დასჭრა, როდესაც შაქრის ლერწმის ღეროსათვის მოუხდათ ბრიყვეული წალაპარაკება. ამის შემდეგ, თუ რა ბედს ეწია ძმას, ეს არ იცის, მაგრამ იგი ალბათ მკვდარია, რადგან მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო და მის შესახებ არაფერი გავიგეო. მას ანგი ერქვა, მე მამის შოს მეძახდნენ, მაგრამ შემდეგ მამობილმა და დედობილმა სხვა სახელი დამარქვესო.

ლე ისმენდა ცოლის სიტყვებს და ეგონა, საშინელებისაგან ჭკუაზე შეფერყვიო. მის წინაშე იდგა ღვიძლი და; მამასადამე, მან ითხოვა ღვიძლი და, რომელმაც მისგან შობა ვაჟი. რით შეუძლია ახლა

მან ასეთი ბოროტმოქმედება და მთელი სავარაუდოლოს ნაშუისი ახლა გამოიხედოს?

ლემ კრინტიც კი არ ამოიღო და მაშინვე მოშორდა სახლს. ამ დღეს ჩინეთისაკენ მიემგზავრებოდა მისი ერთ-ერთი გემი, რომლისკენაც ის მიიჩქაროდა. მისთვის საშინელებას წარმოადგენდა შეეხებოდა იმ ქალისათვის, რომელიც ასე უსასწვროდ უყვარდა. ის საშინელება, რაც მოხდა, როგორ უნდა განუმარტოს მას? რისთვის უნდა იწვალოს უბედურმა? და აი, ლემ კაცი გაგზავნა, რათა აცნობოს ცოლს, რომ მას მოულოდნელად ჩინეთში მოუხდა გამგზავრება და მალე დაბრუნდება, — ასეთი მოტყუებით მას სურდა შეემსუბუქებინა ცოლის მწუხარება.

რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ლემ თავისი ოჯახი დატოვა. ხედავს შო, რომ ქმარი არ დაბრუნდა, მისი გული ხევდამ შეიპყრო. გულისფანცქალით ეგებებოდა ჩინეთიდან დაბრუნებულ ყოველ გემს. ყოველთვის მისი იმედი მწარედ ცრუვდებოდა. აიყვანდა თოთო ბავშვს ხელში, ყოველდღე ადიოდა ყველაზე მაღალ ფრილო კლდეზე, რომელიც ნავსაყუდელს გადმოჰყურებდა, და ჩინეთიდან დაბრუნებულ გემებს ათვალიერებდა.

სულ ქმრის მოლოდინში იყო. გადიოდა დრო,

თვეები თვეებს მისდევდა, ის კი მაინც დაუღალავად ელოდა. ისეთი დიდი იყო მისი მწუხარება, ისეთი უსასწვრო იყო მისი სიყვარული, რომ სულელებმა შეიცადეს იგი.

ერთ საღამოს, როდესაც კლდეზე ბავშვით ხელში იდგა, კეთილი სულის სუნთქვამ დაუბერა მას და გააქვავა. ახლა ნაკლებად წვალობდა მოლოდინით და მას აქეთ დგას იგი კლდეზე, იცავს თურანის ნავსადგურს. მეთევზეები და მეზღვაურები მას კარგად იცნობენ, რადგან იგი ამ სანაპიროების კეთილი დედა და მფარველი სული გახდა. და როდესაც იალქნებს აღარ შეტერავს ქარი ან უცებ მოსწყვეტს მშობლიურ მიწიდან გემს, ვიტანამელი მეზღვაურები ასე მღერავენ:

ზღვის ქარი გამოგვიგზავნე, კეთილო დედავ, მშობლიურ ნაპირებს დავუბრუნდეთ, მოგვეცი ნება.

ჩემს გემს უკან შენი ქმარიც მოსცურავს ზღვაში და ოცნებობს, თავის ძვირფას ცოლს გადაეხვიოს. ქვის ქალღმერთს მამინ აგონდება წარსული იმედეები და მისი უსასწვრო სიყვარული. და უგზავნის გემებს კეთილ ქარს, რათა მგზავრები მალე მიადგნენ მშობლიურ სანაპიროს.

თარგმანა ვ. წოწელიანი

შეიძლება თუ არა სისოსხლის განხორციელება?

მინიატიურები

რ. ბაქანიძის მიხედვით

ჩინოვანი

როცა ზავსულის მზე სწავს ქვეყანას, როცა დედამიწის გვალვა ხეთქავს და სიცხის იწით ბული ღვას, რომ სუნთქვა გინდობდა, მაშინ მივაშურებ ხოლმე მინდვრებს, ვრცელსა და უსაზღვროს, რომ თავდავიწყებით ვირბინო, უსასრულო სივრცეში ჩავინთქა, ან ცაში ავფრინდე, რაფა წვიმას, რომელიც ასე სჭირია დაგვალულ ქვეყანას, პირველი მე შევხვდე და მისი მოსვლა ბუნებას ვახარო. მინდვრებში თავი გოლიათი მგონია, მინდვრებში ადამიანი უკვდავი მგონია და სამყარო დაუსაზამო.

გულგულ

ბულბულის გალობა მე არ მომისმენია. როცა შენი ხმა მესმის, მგონია, ბულბული გალობდეს. რა არის გასაკვირი — ბულბული ხომ თავისთვის, მარტო გალობს და სრულებითაც არ აღარდებს მას, მოუსმენენ თუ არა. ჩვენ მაინც იგი მოგვწონს. რა საძრახისა შენი ხმა ბულბულის გალობად მერყენებოდას. შენ ხომ ჩემთვის გალობ და არა მხოლოდ შენთვის, — მარტო და გულჩამკვდარად, როგორც ბულბული.

ყურს მივუბნო

გორიზად დგანან ფესვბუციე მუხები, ტანაშოლტილი ალგები, მხარგანიერი ცაცხვები. შრიალებენ ჭადრები, ერთმანეთისათვის ბეჭი აუბამთ ნეკერჩხალს, ძელქვას, მურყანს, კოპიტს. დგანან ბევრი, უამრავი, უთვალავი ხეები. სხვადასხვა ხმაზე შრიალებენ.

გავლის მტყევე, ყურს უგდებს ტყის გულის ფეთქვას და თავთაც სიხარულით გული უცეპს.

ცაში არწივი რკალავს კამარას. მინდვრებზე გორაობს ქარი და ბალახში ტალღები იქორება.

დგანან მტკიცედ, წარბუშუბრულად: მუხები, ჭადრები, ცაცხვი, ძელქვა, მურყანი და კოპიტი.

დგანან და შრიალებენ. იწერება დაუწერელი ტყის სიმფონია.

მტყევე ყოველდღე უსმენს მას, ჩვენ — ათასში ერთხელ.

ამიტომ მივვიხარია ტყეში. მუხები, ჭადრები, ცაცხვები კი დგანან და შრიალებენ.

ლამაზად შრიალებენ. თავისთვის, ჩვეთვის, ყველასთვის.

ქიმიური და ჰემატოლოგიური გამოკვლევა და შემდეგ ჩაატარეს მკურნალობა პორმონებით, ვიტამინებით, ქსოვილების გამოაწურით და სხვ. ყველაზე უკეთესი შედეგი მიღებულ იქნა ნოვოკაინით მკურნალობისას.

ნოვოკაინი 1949 წლამდე იხმარებოდა მარტო ქირურგიული ოპერაციების დროს (ანესტეზია). ამ პრეპარატით მკურნალობდნენ ზოგ დაავადებასაც. 1949 წ. რუმინელმა მეცნიერმა ანა ასლანმა გამოიყენა ნოვოკაინი ჯერ რევმატიზმის და შემდეგ სისხლის მიმოქცევის დარღვევისა და კიდურების ტროფიკის სამკურნალოდ. მიღებულმა შედეგებმა მეცნიერი წახალისებ, რათა უფრო შორს წასულიყო და თავისი კვლევა გაეგრძელებინა. მოხუცთა სახლში რევმატიზმის მკურნალობისას გამოიჩინა, რომ ნოვოკაინი დადებითად მოქმედებდა არა მარტო ამ დაავადების მიმდინარეობაზე, არამედ უმჯობესდებოდა პაციენტის საერთო მდგომარეობა, მკვიდებოდა პარკინსონის დაავადების (კიდურების კანკალი) ნიშნები, უმჯობესდებოდა მეხსიერება და ყურადღება.

მეცნიერმა ა. ასლანმა ე. და ი. პოლოვარიაზეთან ერთად მიიღეს ნოვოკაინის ისეთი ხსნარი, რომელიც შეიცავდა წყალბადის იონის ახალ კონცენტრაციას.

ა. ასლანი აკადემიკოს პარხონთან ერთად 1951 წელს შეუდგა 25 ძალზე მოხუცებულ ადამიანის ნოვოკაინით მკურნალობას. ისინი იყვნენ 60-92 წლის ხეობრები, შეპყრობილი გულიწი და ნერვული სისტემის სერიოზული დაავადებით, ართროზისკლეროზით და პარკინსონის ავადმყოფობით.

პერიატრიის ინსტიტუტში მოსვლილს 91 წლის მოხუცი ვიკია ვიკია ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო წელში მოხრილიყო. სახე დაწითლებოდა, თვალები ჩაქრობოდა, სისხლის წნევა — 210—115. კანი ისე გამოჰფიტოდა რომ მთლად აქერცლოდა. მას დაფიქრებოდა შვილების სახელები, ხელები უკანკალდებოდა, მხედველობა და სმენა დაკლებოდა. სახესა და ხელებზე მოფენოდა სიბერის შავი ლაქები. თმები სულ გათეთრებოდა. მას საერთო კანის ქავილიც ჰქონდა. ეს იყო 1949 წელს.

ახლა კი ვიკია 97 წლისაა, მისი სხეული გაახალგაზრდავებულია. მკურნალობიდან დღემდე მან 4,5 კილოგრამი წონა მოიმატა, სისხლის წნევა კი დავიდა 190—110-დღე. ახლა მას შეუძლია ძირს დახრა. დაუბრუნდა სმენა და კერავს უსათფალებოდ. მისი თვალები გასაოცრად გამოცოცხლდნენ. ეს ქალი განსაკუთრებით გამოირჩევა ინსტიტუტში — სიცოცხლით აღსავსე, ოპტიმისტურად განწყობილი. სახეზე სიბერის ნიშნები გაუქრა, წამწამები გაუმუქდა, კანი გაუსუფთავდა, კუნთები განუფითარდა. იგი თვითონ ზრუნავს თავის ჰიგიენაზე და ოთახის სისუფთავეზე, მარტო დიდის ქალაქში. ამოდის ახალი თმები, რომელთა 90% მუქია. თმები, რომლებიც აქამდე თეთრი ჰქონდა, ნაწილობრივ გაუმუქდა. შეიძლება მალე დადგეს ის დრო, როცა ადამიანები მხოლოდ წიგნებიდან გაიგებენ, რომ მოხუცებულებს დაიკარგა, რომ მოხუცებულებს დაიკარგა, რომ მოხუცებულებს დაიკარგა.

ბუქარესტის პერიატრიის სამკურნალო პარკის დირექტორი, ნოვოკაინის გამოყენების მეთოდების ავტორი, აკადემიკოსი პარხონი ი. ვიკიას მოიხატა, სისხლის წნევა კი დავიდა 190—110-დღე. ახლა მას შეუძლია ძირს დახრა. დაუბრუნდა სმენა და კერავს უსათფალებოდ. მისი თვალები გასაოცრად გამოცოცხლდნენ. ეს ქალი განსაკუთრებით გამოირჩევა ინსტიტუტში — სიცოცხლით აღსავსე, ოპტიმისტურად განწყობილი. სახეზე სიბერის ნიშნები გაუქრა, წამწამები გაუმუქდა, კანი გაუსუფთავდა, კუნთები განუფითარდა. იგი თვითონ ზრუნავს თავის ჰიგიენაზე და ოთახის სისუფთავეზე, მარტო დიდის ქალაქში. ამოდის ახალი თმები, რომელთა 90% მუქია. თმები, რომლებიც აქამდე თეთრი ჰქონდა, ნაწილობრივ გაუმუქდა. შეიძლება მალე დადგეს ის დრო, როცა ადამიანები მხოლოდ წიგნებიდან გაიგებენ, რომ მოხუცებულებს დაიკარგა, რომ მოხუცებულებს დაიკარგა, რომ მოხუცებულებს დაიკარგა.

მეცნიერთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ასაკობრივი მოვლენები განუყოფელია. აკადემიკოსი პარხონი კი ფიქრობს რომ ასეთი აზრი დოგმატურია და დოგმა ჩვეულებრივ არ შეესაბამება სინამდვილეს; ბიოლოგიური მოვლენები ვითარდებიან მარტო ერთი მიმართულებით, თუ ისინი წარმოიშობიან ერთნაირ პირობებში, მაგრამ თუ პირობები იცვლება, მაშინ ევოლუციის მიმართებაც შეიძლება შეიცვალოს.

ამჟამად რუმინელი მეცნიერები პერიატრიის ინსტიტუტში აწარმოებენ ღრმა გამოკვლევებს ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ხაზით, რათა შეამოწმონ თავისი სამოქმედო ჰიპოტეზა.

რუმინეთში ახლა რამდენიმე ასეთი სამეცნიერო ცენტრია. ქ. პლოეშტის ერთ-ერთ დიდ ქარხანაში პროფილაქტიკური მკურნალობა ჩაატარეს ყველა მუშაზე 45 წლის ასაკიდან. შემდეგში ეს სამეცნიერო ცენტრები დაარსდება სხვა ქალაქებშიაც.

მკურნალები „ტექნიკა მოლოდინო“ და „ნაუკა ი უიზნი“ უკანასკნელ ნომერებში გვაწვდიან მეტად საინტერესო მასალას იმ ცდების შესახებ, რომელთაც სხვადასხვა მეცნიერები აწარმოებენ ადამიანის სიცოცხლის განხორციელებისათვის.


სიცოცხლის განხორციელება კაცობრიობის დიდი ხნის ოცნება იყო. მრავალი ლეგენდა არსებობდა სხვადასხვა ელექსირებზე, რომლებიც თითქმის ახანგრძლივებდნენ სიცოცხლეს. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თანატოლებზე მეტ ხანს ცოცხლობდნენ. ეს იყვნენ სწრაფვას — გამოეძებნათ სიცოცხლის განხორციელების საშუალება.


სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დღითი დღე იზრდება. ახლა მრავალ ქვეყანაში იგი 60-70 წლამდე აღწევს. საშუალო საუკუნეებში კი 20-30 წლამდე აღწევდა. არიან ადამიანები, რომლებიც ცოცხლობენ 150 წლამდე და ხშირად ეს მსცოვანები წელსგამართულები დადიან და ჯანსაღი გამოიყურებიან. ამ მხრივ გამოირჩევა საქართველოს, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და რუმინეთის მოსახლეობა. საგულისხმოა, რომ ბულგარეთში 1 მილიონ მოსახლეობაზე 555 ხანდაზმული ადამიანი (ასზე მეტი წლის), იუგოსლავიაში — 250, საბჭოთა კავშირში — 150, რუმინეთში — 106.

სიბერე არასასიამოვნოა, ეტყვიან ხოლმე ახალგაზრდებს ხანდაზმულები. სიბერე ავადმყოფობაა, ამტკიცებს რუმინელი აკადემიკოსი პარხონი. იგი ამ დასკვნამდე მივიდა ორმოცი წლის მეტად დაძაბული კვლევის შედეგად. ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა მეცნიერი დაარწმუნა, რომ შეიძლება სიცოცხლის განხორციელება, თუკი შეიცვლება გარემოს პირობები ანალოგიურად თერაპიული საშუალებებით ნერვული ან შინაგანი სეკრეტის ჯირკვლების სისტემაზე. აკადემიკოსმა პარხონმა 40 წლის წინათ დაიწყო ცდების ჩატარება კლინიკებში. სიბერის მიმდინარეობაზე დაკვირვებამ იგი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სიბერე ავადმყოფობაა, მისი მკურნალობაც შეიძლება და მის წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღებაც. მეცნიერმა და მისმა თანამშრომლებმა თავიანთი მუშაობა განსაკუთრებით გააფართოვეს და განავითარეს 1949 წლის შემდეგ ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტსა და ხანდაზმულობის სახლში. 1952 წლიდან კი მუშაობა გადატანილ იქნა ბუქარესტის პერიატრიის ინსტიტუტში — ევროპაში ერთადერთ ინსტიტუტში, რომელიც სწავლობს სიბერეს.

1951 წელს ინსტიტუტის სპეციალური ინტერნატში მოთავსებული იყო 110 მოხუცი, ისინი შეამოწმეს ბიოლოგიური ხნოვანების მიხედვით, აწარმოეს კლინიკური, ფიზიოლოგიური, ბიო-

ინსტიტუტის ერთ-ერთი პაციენტის ფოტო სურათი მკურნალობამდე (თმის გაცვენა, დანაოჭებული კანი, დეფორმირებული ფრჩხილები) და მკურნალობის შემდეგ.





ჰორიზონტალურად:

1. მათემატიკის დარგი. 6. ნორვეგიელი მწერალი. 7. სახელმწიფო ცერობაში.
11. ფრინველი ავსტრალიაში. 12. მაგარი სასმელი. 13. შუა აზიის ფეოდალი.
18. მდინარე უკრაინაში. 21. ტროპიკული მცენარე. 22. სახალხო მოლაპარაკე, სიტყვის წარმომთქმელი. 23. რძის ნაწარმი. 24. სიკვდილის წინა მდგომარეობა.
28. ფეხბურთის გუნდი საფრანგეთში. 29. სამხედრო წოდება. 30. ძველი საომარი სამოსელი. 33. დარგომიქსის ოპერა. 34. ცნობილი რუსი დრამატურგი. 35. წყაროობითი აღნუსხვა. 38. ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი. 39. გარეული ცხოველი. 40. მეცნიერების დარგი.

ვერტიკალურად:

2. ქართლ-კახეთის გმირი მეფე. 3. ძველი ქართული გაზეთი. 4. სამკურნალო გამკვრივებელი ფხვნილი. 5. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში. 8. დენის ძალის საზომი ერთეული. 9. ლაბორატორული ხელსაწყო. 10. გარეული ფრინველი.
14. მიმართულება ფილოსოფიაში. 15. ვერდის ოპერა. 16. მორწყვის ერთ-ერთი წესი. 17. ელდენით მკურნალობის მეთოდი. 19. ჯგუფი პოლიტიკურ პარტიაში.
20. საწარმოო ჯგუფი კოლმეურნეობაში. 25. ქალაქი რუსეთში. 26. ვალტერ სკოტის რომანი. 27. სახელმწიფო ცერობაში. 31. წყრილი. 32. ბაჭყალის საწოლი. 36. ფუტკრის მიერ გამოყოფილი წებოვანი ნივთიერება. 37. მდინარე რუსეთში.

შურს „დროის“ № 7-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად:

1. გენერალი. 2. მერეი. 3. კალია. 4. იასი. 8. მურმანი. 10. კოკა. 11. ურემი.
12. უღელი. 13. ალბანეთი. 15. მისისიპი. 19. მასრა. 21. შიგელი. 24. მილიცია.
25. სიმალღე. 29. ისკრა. 30. სამბა. 32. უნგრეთი. 33. რიგა. 34. გორა. 35. პრიპიატი.

ვერტიკალურად:

5. მეძებარი. 6. მეტეხი. 7. ალაში. 9. ამირანი. 10. კურდღელი. 14. მელია.
16. სირია. 17. ოსტატი. 18. ოპერაცია. 20. მშვიდობა. 21. შეგირდი. 22. ლიბერია.
23. ჭიკაძე. 26. ბურთი. 27. ლიტრი. 28. აკრობატი. 36. საარი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ილია ჭავჭავაძის ობელისკი წიწამურის გზაზე.

ფერადი ფოტო გ. რაჭმაძისა

მეოთხე გვერდზე: თბილისი. მეტეხის ხიდი.

ფერადი ფოტო ე. იგნატოვიჩისა

„მურინავი ვეფხვი“

ჩინური მედიცინის პრეპარატი „სუელინი“ (სისხლის განმკურნავი) განსაკუთრებით ეფექტური წამალია ქალური დაავადების წინააღმდეგ. ასეთი წამლის მოპოვება ძალზე ძნელია — ხშირად მისი შოვნა სიცოცხლისათვის დიდ რისკს წარმოადგენს. სიჩუანის პროვინციის მთიან რაიონებში კლდეებსა და ფლატეებში ცხოვრობს ცხოველი, რომელიც ვეფხვს წააგავს, ის კატაზე ღიღია და პანტერაზე უფრო პატარაა, მას „მურინავ ვეფხვს“ ეძახიან. ამ ცხოველს ფრთები აქვს, რომელზედაც ჩამწკრივებულია მეტად მახვილი პატარა კბილები. დედრობითი სქესის „მურინავი ვეფხვი“, ყოველწლიურად გამოჰყოფს სპეციალურ სითხეს, რომელიც შემდეგ მაკრდება. აი ეს არის „სუელინი“. ამ წამლის მოსაპოვებლად მთიან რაიონების გლეხები ხშირად თოკებს მიაბამენ კლდეებსა და ფლატეებს და რამდენიმე ათეული მეტრით ძირს ეშვებიან მხეცის ბუნაგში. ზოგჯერ „მურინავი ვეფხვი“ თავისი ფრთებით გადახეხავს ხოლმე თოკს და მონადირე ვნარცხება ქვეშე. ერთი გლეხი, უშანის მაზრიდან,

ჩაუსაფრდა და ყოველდღიურად უთვალთვალდა მხეცს. შეისწავლა მისი ჩვევები და ბოლოს დაიბრუნა კლდე...


უზარმაზარი ქათამი

„ცინტაის“ კომპრატის წყვილი ხუან სი-ლინის ქათამა მისში ზედინედ დალო ათი მსხვილი კვერცხი. თვითული მათგანის წონა 5 ლიანს (ლიანი — 31.25 გრ.) უდრიდა. ერთ დღეს ამ ქათამა ორი კვერცხი დალო. ქათმის სიმაღლე ერთ ჩის უდრის (ჩი — 0.32 მ.) და შორიდან იგი ბატისა ჰგავს. ხუან სი-ლინის სულ 12 ქათამი ჰყავს, რომელთა საერთო წონა ოთხმოც ძინს აღემატება (ძინი — 596.816 გრ.). რომელთა შორის ყველაზე მძიმე ქათამის წონა რვა ძინზე მეტია.

იპვიათი მშობიარობა

ჩრდილოეთ ვიეტნამში სოფ. ზიათხუის მცხოვრებ ქალს ნინ ბინს იანვრის დამლევს შეეძინა ბიჭი, მისი მუცელი კი ისევ გამობერილი დარჩა. ორმოცი დღის შემდეგ მან კიდევ დაბადა მეორე ბიჭი; ორივე ერთმანეთს ძალიან ჰგავს. დედა და ორივე ბავშვი თავს კარგად გრძობენ. (გაზეთი „დრუბა“)

ორი შორსხეივი



ნახატი-ხუმრობა ი. მასინასი

რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაძე, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა | ტექნიკური დ. ხეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. | ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 8-52-69, განყოფილებების — 8-95-88.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. | ფანი მ მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VIII-57 წ. გამოც. № 122. ქალ. ზომა 70x108 1/8, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი—15.000. შეკვეთის № 402. უფ. 01288.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) | Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



სასიამოვნო ნავეებით სეირნობა, უფრო სასიამოვნოა იგი ღამით, მთვარის შუქზე.
ფოტო ვ. ჯეირანოვისა.



6.66/163

3 #/157



ეროვნული
ბიბლიოთეკა

